პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
წლიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: } რედაქტორის 14—76
} მდივანის 10—58
დავის მორიგის 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 84;
ტელეფონი № [illegible]
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 18—80
ექსპედიციის 5—48.

დ ღ ი უ რ ი

- — გაიხსნა რეიხსტაგის სესია.
- — ბელგიაში ქვანახშირის დიდი კრიზისი.
- — ჩინეთში მოხდა შეტაკებები ჩინელებს და ინგლისელებს შორის.
- — გამწვავდა ურთიერთობა საფრანგეთსა და იტალიას შორის.
- — იტალიის ფაშისტები მოითხოვენ არაფაშისტურ ელემენტების განადგურებას.
- — ტრედიუნიონების ყრილობა ქველმოქმედებისად დახმარე... გის საკითხს.

პარასკევი, 5 ნოემბერი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 253 (1798)

ჩვენი გაზეთის ჩვეულებრივი ნომერი გამოვა დღეს, 5 ნოემბერს, ნაშუადღევის ხუთი საათისათვის საკავშირო კომპარტიის მე-15 კონფერენციის ანგარიშებით:
ამხ. სტალინის მოხსენებით და კამათით მის გარშემო

მეხუთმეტე პარტკონფერენციის შედეგები

დაამთავრა თავისი მუშაობა მე-15 საკავშირო პარტიულმა კონფერენციამ. ეს კონფერენცია ჩვენი პარტიის ისტორიაში შევა, როგორც უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენათა ჯაჭვის დასკვნითი რგოლი.

იმის შემდეგ, რაც პარტიას აღარ აქვს ლენინის ხელმძღვანელობა, მას შემდეგ, რაც მას ურთულეს პოლიტიკურ პირობებში უხდება ორიენტაციის აღება გენიალური ბელადის დაუხმარებლად,— მან ბევრი მძიმე წუთები განიცადა.

1923 წელში პარტიის შიგნი აღორძინდა ტროცკისტული მიმდინარეობა, რომელმაც მოახდინა რამოდენიმე ცდა იმისა, რომ პარტია აეცდინა ლენინის პოლიტიკის ლიანდაგიდან.

პარტიამ მოიგერია ეს იერიშები ლენინიზმის წინააღმდეგ.

1924 წელში „სასიცოცხლო" ნიშნები გამოიჩინეს ყოფილი „მუშათა" ოპოზიციის ცალკე წევრებმა, რომელნიც შეეცადენ, რომ პარტიის შიგნი შეექმნათ ფრაქცია ლიკვიდატორულ იდეურ საფუძველზე. ლენინიზმის წინააღმდეგ გალაშქრების ამ უბადრუკმა ცდამ სრული მარცხი განიცადა.

1925 წელში პარტიული პოლიტიკის ლენინური პრინციპების წინააღმდეგ გამოვიდა „ახალი ოპოზიცია" ამხ. კამენევისა და ზინოვიევის მეთაურობით. პარტიამ მე-14 ყრილობის სახით ერთსულოვანი პასუხი გასცა ამ მიმდინარეობას, რომელიც დახასიათებულ იქმნა როგორც „ლიკვიდატორული, როგორც რწმენის უქონლობა ჩვენი განვითარების სოციალისტურ გზებში".

დაბოლოს, 1926 წელში ყველა ეს მიმდინარეობანი შევიდენ ოპოზიციური ბლოკის შემადგენლობაში, რომელსაც იდეურ-პოლიტიკური დახასიათება მისცა კონფერენციამ რეზოლიუციაში სოციალ-დემოკრატიული გადახრის შესახებ.

პარტიულ დისციპლინის დარღვევის მთელ რიგ შემთხვევის შემდეგ, ლენინიზმის რევიზიის მთელ რიგ ცდათა შემდეგ, პარტიის წინააღმდეგ გამწვავებული ფრაქციული ბრძოლის შემდეგ— ოპოზიციური ბლოკის ბელადები გაირიყენ პარტიისაგან, ნიღაბი ჩამოეხადათ, იდეურად განადგურდენ.

ბლოკისტებმა ლენინის პარტიის მხრივ უსასტიკესი პასუხი მიიღეს, მაგრამ ამასთან ერთად შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ მათ დაიმსახურეს ბურჟუაზიული და წვრილ-ბურჟუაზიული კონტრ-რევოლიუციონური პარტიების პოლიტიკური სიმპატიები.

ლენინის პარტიამ გადაჭრით, მტკიცედ და ერთსულოვნად დაგმო ანტილენინური ოპოზიციური ბლოკი. კადეტები, ესერები, რუსი და უცხოეთის მენშევიკები ერთსულოვნად ესალმებოდენ მას და ერეკებოდენ ოპოზიციონერებს იქითკენ, რომ ისინი კიდევ და კიდევ გამოსულიყვნენ ბოლშევიზმის წინააღმდეგ, რაც ობიექტიურად მოასწავებდა მათ გამოსვლას მთელ მსოფლიოში ერთად ერთ არსებულ პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ.

რომ ოპოზიციას განეგრძო ბრძოლა პარტიის წინააღმდეგ ასეთ პირობებში, რომ მას კიდევ და კიდევ განეგრძო თავისი პოლიტიკური ყოფა-ქცევის ხაზი,— იგი აუცილებლად დაექანებოდა სოციალ-დემოკრატიზმის პოზიციისაკენ.

უშუალოდ კონფერენციის წინაშე ოპოზიციური ბლოკის „ბელადებმა" (ბელადები ბრჭყალებში, ვინადან მათ პარტიაში თითქმის არავინ არ ყავდათ) აღიარეს თავიანთი ფრაქციული პოლიტიკის შეცდომა და მავნებლობა, მაგრამ ამავე დროს განაცხადეს, რომ ისინი დგანან თავის ძველ, ანტი-ლენინურ იდეურ პოზიციებზე.

მე-15 კონფერენციამ გამოაშკარავა ორი ძირითადი ფაქტი, რომლიდანაც აუცილებლად უნდა გამოვიდეთ პარტიული პერსპექტივების გარკვევის დროს. კონფერენციამ ერთხმად და კატეგორიულად დაგმო ოპოზიციური ბლოკის ანტიპარტიული მოღვაწეობა და მის იდეოლოგთა შეფასებაში, დებულებებში და მტკიცებებში დაინახა სოციალ-დემოკრატიული ტენდენციები.

მეორეს მხრივ, ამხ. ტროცკის, კამენევის და ზინოვიევის გამოსვლებმა კონფერენციაზე გვიჩვენეს, რომ ამ ამხანაგებს განზრახვა აქვთ კვლავ აწარმოონ ბრძოლა ლენინიზმის იდეური საფუძვლების წინააღმდეგ.

მათ ერთხელ კიდევ დაუპირდაპირეს თავისი თავი პარტიას, მათ ერთხელ კიდევ გვიჩვენეს, რომ მათ არ აკმაყოფილებს ლენინიზმი, მათ ერთხელ კიდევ განიმეორეს მათ მიერ წარმოდგენილი გადახრის სოციალ-დამოკრატიული ხასიათი.

მე-15 კონფერენციამ ლენინის პარტიის რიგების შეურყეველი მთლიანობის დემონსტრაცია მოახდინა, რომელიც დაუღალავად, შეურიგებლად იდეურ ბრძოლას აწარმოებს სოციალ-დემოკრატიული ხასიათის ტენდენციებთან.

ჰამბურგის აჯანყების სამი წლის თავი

სამმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ჰამბურგელმა კომუნისტებმა ბარიკადები იმართეს. წლიდან წლობით მიდის ჰამბურგის რევოლიუციონური მუშათა კლასი დახოცილთა საფლავებთან, რათა თავისი შეუდრეკელი ნებისყოფა გამოაშკარავოს, ჰამბურგის მებრძოლების მემკვიდრეობა ერთგულად შეინახოს, იდეები, რომლისთვისაც ისინი იბრძოდნენ მთელი გერმანელი მუშათა კლასის საზოგადო კუთვნილებათ გადააქციოს. და რაც უფრო მეტი დრო მიდის, მით უფრო ღრმათ ვიგნებთ ჩვენ ჰამბურგის აჯანყების მნიშვნელობას იმ ბრძოლისთვის, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლად სწარმოებს.

ჰამბურგს გერმანიის რევოლიუციის ისტორიისთვის იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც მოსკოვის აჯანყებას ჰქონდა 1905 წ. იქ. ისევე როგორც აქ, რამდენიმე ასი კომუნისტი შეეწირა მთელი მუშათა კლასის საქმეს. იქ ისევე როგორც აქ, მთელი მუშათა კლასი ამ თავგანწირულ მებრძოლების მხარეზე იდგა, მაგრამ არც საკმაოთ მომწიფებული იყო, არც საკმაოდ გაბედული და აქტიური, რომ ბრძოლაში ჩარეულიყო. იქ, ისევე როგორც აქ, ბარიკადების მებრძოლნი არსებითად დაუმარცხებელნი გამოვიდნენ ბრძოლიდან იქ, ისევე როგორც აქ, მათ რამდენიმე ასი ათასი მუშის გულში ახალი რევოლიუციური თავგამოდება და იმედი გააღვიძეს, ხოლო მტრების რაზმებში შიში და სასოწარკვეთილება.

ის დრო, რომელიც ჰამბურგის ბრძოლებს მოჰყვა, იყო დრო მუშათა მოძრაობის დაქვეითებისა და დამარცხებისა. მუშათა კლასმა საკუთარი გამოცდილებით შეითვისა ძველი ისტორიული ჭეშმარიტება: როცა მუშათა კლასი ბარიკადებზე მარცხდება, ბურჟუაზიის შეტევა მისი პოლიტიკური უფლებებისა და ეკონომიური მდგომარეობის წინააღმდეგ უფრო მძაფრი ხდება. ოქტომბრის დამარცხებას მოჰყვა „რაციონალიზაციის" შეტევა გერმანიის პროლეტარიატის წინააღმდეგ. ამ დამარცხების შედეგია 2 მილიონ ნახევარი უმუშევარი და პრუსიის ფელდფებელის მათრახის გამეფება წარმოებაში. არა მარტო ჰამბურგში, არამედ მთელს გერმანიაში კომუნისტებს შეუძლიათ ჰამბურგის აჯანყების წლის თავზე სოციალ-დემოკრატ და უპარტიო მუშებს შეეკითხონ, როგორი სახე ექნებოდა დღეს ჩვენს ქვეყანას, თუ 1923 წელში პოლიციას და რეიხსვერს კი არა, არამედ მუშათა კლასს გაემარჯვა კომუნისტური პარტიისა და ბარიკადების მებრძოლთა ხელმძღვანელობით. მიიღებდენ თუ არა პროლეტარიატის დიქტატურის დროს მეფის გვარეულობის წევრები 15 მილიონ მარკას ფულათ, ოთხას ათას დღიურ მიწას და სხვა სიმდიდრეს? იარსებებდა თუ არა პროლეტარიატის ბატონობის დროს საფრთხე, რომ ვილჰელმ მე-2 გერმანიაში დაბრუნდება, რათა მონარქიის აღსადგენად იმუშაოს? იქნებოდა თუ არა ორ მილიონ ნახევარი უმუშევარი გერმანიაში?

1923 წლის შემდეგ განვლილმა დღეებმა მუშათა კლასს დაუმტკიცეს, რომ სოციალ-დემოკრატიის დებულება, თითქო ბრძოლა პროლეტარული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მშვიდობიანი გზით იყოს შესაძლებელი, მტკნარი სიცრუეა. ჩვენ, კომუნისტებმა, ეს ჭეშმარიტება 23 ოქტომბრის სამი წლის თავზე ფართოდ უნდა გავავრცელოთ პროლეტარულ მასსებში.

ჩვენმა პარტიამ 1923 წლის ოქტომბრის დამარცხებიდან გაკვეთილი მიიღო, რომელიც კომუნისტების სისხლსა და ხორცში გადავიდა. ჩვენს პარტიას დღეს უკვე ესმის, რომ რევოლიუციური მუშათა მოძრაობის უდიდესი მტერი ოპორტიუნიზმია და კომუნისტური პარტია აჯანყების დროს ყოველთვის დამარცხდება, თუ მის რაზმებში ოპორტიუნიზმი გავრცელდა. კიდევ მეორე გაკვეთილი მოგვცა ოქტომბრის ცხოველმა გამოცდილებამ. ეს არის საკითხის დასმა: როგორ უნდა იყოს კომუნისტების დამოკიდებულება პროლეტარიატის ფართო მასსებისადმი, რათა აჯანყება ძლევამოსილი გახდეს. პასუხი ასეთია: კომუნისტები ყოველდღიური ბრძოლის შემწეობით, ისე უნდა შეუკავშირდენ მასებს, რომ თანაგრძნობის ძაფი აჯანყების დღეს არ გასწყდეს. სოლიდარობა ისე ღრმა და ძლიერი უნდა იყოს, რომ იგივე მასსები, რომელნიც ჩვენ მოგვყვებიან ყოველდღიური პურისთვის ბრძოლაში, შეიარაღებულ ბრძოლაში გამოგვყვენ.

გერმანელმა კომუნისტებმა არასოდეს არ უნდა დაივიწყონ, რომ იმ დროს როცა ისინი ჰამბურგში ბარიკადებზე იდგნენ, რამდენიმე ათასი გაფიცული ნავთსადგურის მუშა ჩვენს ბრძოლებს შორიდან უცქეროდა.

როგორია დღეს ჩვენი დამოკიდებულება პროლეტარულ მასსებთან? გაგვყვება თუ არა ჰამბურგის მუშათა კლასის უმრავლესობა ბარიკადებზე? ამ კითხვას უარყოფით უნდა ვუპასუხოთ. სოციალდემოკრატიასა და რეფორმისტულ პროფკავშირულ ბიუროკრატიას ჯერ კიდევ უზარმაზარი გავლენა აქვს იმ მუშათა მასებზე, რომელნიც ჩვენ უნდა მოგვყვებოდენ, თუ გვინდა, რომ გავიმარჯვოთ. მაგრამ ჩვენი პარტია უკვე იპყრობს ამ მასებს რევოლიუციისა. ძლევამოსილი კომუნიზმის საქმისათვის. ამის საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთია ჰამბურგის უკანასკნელი გაფიცვა. თუმცა ჩვენს პარტიას სამთა კავშირი ე. ი. კაპიტალისტური სახელმწიფო, კაპიტალისტური კლასი და პროფკავშირული ბიუროკრატიის გაერთიანებული ფრონტი უწევდა წინააღმდეგობას, მაგრამ ჩვენ მაინც შევსძელით ჰამბურგის ნავთსადგურის მუშების მობილიზაცია მოგვეხდინა და ბრძოლაში ჩაგვება, შემდეგ ბრძოლა შეგვეჩერებინა, როცა ეს საჭირო გახდა. პროფკავშირული ბიუროკრატია დარწმუნდა, რომ კომუნისტებს შეუძლიათ არა მარტო შეიარაღებული ბრძოლის წარმოება, არამედ იმ ყოველდღიური ბრძოლის გაძღოლაც, რომელიც მუშის ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად სწარმოებს.

1923 წლის საბარიკადო ბრძოლები ჰამბურგში უდიდეს გაკვეთილს წარმოადგენენ კომუნისტებისთვის. ბარიკადებისაკენ მხოლოდ ერთი გზა მიდის: ესაა პროლეტარიატის ფართო მასსების დაპყრობის გზა.

1891 წლის 18 მარტს ფრიდრიხ ენგელსმა გერმანიის ბურჟუაზიას მიაძახა: „გერმანელი ფილისტერი ხელახლა ღვთაებრივმა ძრწოლამ შეიპყრო სიტყვა „პროლეტარიატის დიქტატურის" გაგონებისას. გნებავთ თუ არა, ბატონებო, იცოდეთ, როგორია ეს დიქტატურა? შეხედეთ პარიზის კომუნას. ეს პროლეტარიატის დიქტატურა იყო".

1926 წლის 26 ოქტომბერს, ჰამბურგის ბარიკადების ბრძოლის სამი წლის თავზე, ჩვენ—გერმანელი კომუნისტები ვეკითხებით გერმანიის ბურჟუაზიას: „ბატონებო, გნებავთ თუ არა იცოდეთ, როგორია ბრძოლა პროლეტარიატის დიქტატურისათვის? შეხედეთ ჰამბურგს!

ერნსტ ტელმან.

კომპარტიის მე-15 კონფერენცია

უკანასკნელი სხდომა

მოსკოვი, 3 ნოემბერი. 3 ნოემბერს საღამოს 8 ნახ. საათზე გაიხსნა მე-15 პარტკონფერენციის საბოლოო სხდომა.

რეზოლიუცია რიკოვის მოხსენების გამო

კონფერენციამ მოისმინა ამხ. **ჩუბარის** მოხსენება იმ კომისიის მუშაობის შესახებ, რომელიც კონფერენციის მიერ გამოყოფილი იყო ამხ. რიკოვის მოხსენების გამო რეზოლიუციის საბოლოო რედაქციისათვის. ამხ. ჩუბარი ამბობს, რომ კომისიის მიერ მიღებული შესწორებანი არ სცვლიან ამხ. რიკოვის თეზისების პრინციპიალურ დებულებებს და მიღებული იქნა კომისიის მიერ ხმის დიდი უმრავლესობით.

ამხ. ჩუბარის მოხსენების შემდეგ, კონფერენციამ ერთხმად, მთელი დარბაზის მქუხარე ტაშით უკამათოდ მიიღო კომისიის მიერ ამხ. რიკოვის მოხსენების გამო წარმოდგენილი რეზოლიუციის საბოლოო რედაქცია.

რეზოლიუცია ტომსკის მოხსენების გამო

შემდეგ კონფერენციამ მოისმინა ამხ. დოგადოვის მოხსენება იმ კომისიის მუშაობის შესახებ, რომელიც ამხ. ტომსკის მოხსენების გამო რეზოლიუციის სარედაქციოთ იყო არჩეული. ამხ. დოგადოვი კითხულობს შესწორებებისა და პირვანდელი რეზოლიუციის ტექსტს და აღნიშნავს, რომ ეს შესწორებანი მხოლოდ სარედაქციო ხასიათის არიან. კონფერენცია ერთხმად ღებულობს საბოლოო ფორმაში კომისიის მიერ წარმოდგენილ რეზოლიუციას ამხ. ტომსკის მოხსენების გამო.

შემდეგ ამხ. **კასიორი** კონფერენციას აცნობს ცეკასა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის გადაწყვეტილებებს.

ამხ. ს. ორჯონიკიძის არჩევა

ს. ს. რ. კ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ხელმძღვანელის, ამხ. ძერჟინსკის სიკვდილის შემდეგ, ამბობს ამხ. კასიორი, პარტიის ცეკამ ს. ს. რ. კ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე დანიშნა ამხ. კუიბიშევი. ამრიგად ხდგება საკითხი ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ახალ თავმჯდომარის შესახებ. დღეს ცეკას და ც. ს. კ. პლენუმმა ამ საკითხის განხილვის შემდეგ გადასწყვიტა ცენტრალურ საკონტროლო კომისიის თავმჯდომარეთ აირჩიოს ამხ. ორჯონიკიძე და აგრეთვე წამოაყენოს მისი კანდიდატურა ს. ს. რ. კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარის თანამდებობაზე.

მთელი დარბაზის მქუხარე ტაშით კონფერენცია ერთხმად იწონებს ცეკასა და ც. ს. კ. პლენუმის გადაწყვეტილებას.

მეხუთმეტე ყრილობა

— ცეკასა და ც. ს. კ. პლენუმმა,— განაგრძობს ამხ. კასიორი—განიხილა აგრეთვე საკითხი მორიგი პარტიული ყრილობის მოწვევის შესახებ. რადგან 1927 წ. გაზაფხულზე განზრახულია საბჭოების საკავშირო ყრილობის მოწვევა და რადგან ერთ და იმავე დროს მეტად ძნელი იქნებოდა ამ ყრილობასთან პარტიული ყრილობის ჩატარებაც, ამიტომ ცეკა და ც. ს. კ. მივიდენ იმ დასკვნამდე, რომ მორიგი პარტიული ყრილობის მოწვევა, უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა მომავალი წლის შემოდგომაზე.

კონფერენცია ერთხმად შეუერთდა ცეკასა და ც. ს. კ. პლენუმის გადაწყვეტილებას.

შემდეგ საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა ამხ. **რიკოვმა.**

(ამხ. რიკოვის სიტყვა იქნება დამატებით)

ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმი

მოსკოვი, 4 ნოემბერი. 3 ნოემბერს შესდგა ცეკას და ცენტრ. საკონტ. კომისიის გაერთიანებული პლენუმი.

პლენუმმა დაამტკიცა მე-15 პარტკონფერენციაზე მიღებული ყველა რეზოლიუციები.

ამხ. კუიბიშევის საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარეთ დანიშვნის გამო, ცეკას და ცენტრ. საკონტრ. კომისიის გაერთიანებულმა პლენუმმა ამხ. **ორჯონიკიძე** დაამტკიცა ცენტრალურ საკონტროლო კომისიის თავმჯდომარედ.

პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატთა შემადგენლობიდან ამხ. ორჯონიკიძის გამოსვლის გამო, პლენუმმა პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად აირჩია **ამხ. ჩუბარი.**

საბჭოთა პრესა

მშენებლობის გაიაფება

მთელ საბჭოთა კავშირში სწარმოებს უდიდესი ალმშენებლობითი მუშაობა. 1926—27 წ. მარტო სამრეწველო და საელექტროფიკაციო მშენებლობაზე დაიხარჯება მილიარდი მან. გარდა ამისა ფართოდაა გაშლილი საბინაო და მრავალი სხვა სახის მშენებლობა. ასეთ გრანდიოზულ მშენებლობის დროს არასაკმაო გამოცდილებას, სულ მცირეოდენ შეცდომას და დაუდევრობას შეიძლება მოჰყვეს საერთო ჯამით მრავალ მილიონის უნაყოფოდ განიავება. ცნობილია, რომ ჩვენი მშენებლობა მეტად ძვირი ჯდება. და ეს მაშინ, როცა ქვეყანა საშუალებათა სიმცირეს განიცდის. რა აძვირებს მშენებლობას? ამ კითხვაზე ამხ. ი. შმიდტი ასე უპასუხებს **„ტორგოვო-პრომიშლენნაია გაზეტა"-ში:**

„ჩვენ ვიწყებთ მშენებლობას ძალიან დაგვიანებით. კაპიტალურ ნაგებობათა უმრავლესობა და საერთოდ ჩვენი მშენებლობა იწყება ივლისსა, აგვისტოსა და სექტემბერში. ეს გარემოება მეტად აძვირებს სამუშაოს, ვინაიდან აუცილებელი ხდება: მუშაობის წარმოება ორ-სამ წყებად, ხშირი გაცდენები წვიმების გამო, მუშა ხელზე და მასალებზე ზედმეტი ფულის გაღება და აპარატების ძალა-უნებურად გადიდება. იანვარი უნდა იქნას დაწესებული, როგორც უკანასკნელი ვადა კონტრაგენტებთან ყველა ვალდებულებათა ჩამოყალიბებისათვის—მასალების მიწოდების, სამუშაოთა წარმოების და ნახაზების შესრულების დარგში. ეს საშუალებას მოგვცემს მარტ-აპრილში გავშალოთ მუშაობა.

მომჭირნეობის რეჟიმი მშენებლობაში არ არის დაცული. ჩვენ აუარებელ ენერგიას და ძალას ვხარჯავთ, რომ სადმე მანეთები გამოვნახოთ, ხოლო მშენებლობაში ყოველწლიურად მილიონები გვეკარგება. 1926—27 წ. მშენებლობაზე წავა დაახლოებით 130 მილიონი ფუთი დუღაბი და 40—50 მილ. ფ. რკინა, ხოლო ჩვენი მშენებლობის კონსტრუქცია უმეტეს შემთხვევაში 10—15, ზოგჯერ კი 20 პროც. აღემატება გერმანიაში არსებულ სიმკვიდრის მარაგს, რაც ამდენივე პროცენტით იწვევს ზედმეტ მასალის ხარჯვას.

უკეთეს მდგომარეობაში არ არის საალმშენებლო მასალის ხარისხიც. აგური 5—10 პროც. მაგივრად იძლევა 20—25 პროც. ნამსხვრევს. მისი ჩამოყალიბებაც უვარგისია, ის საკმაოდ არ არის გამომწვარი, სავსეა ქვებით. ხოლო 1925—26 წ. მშენებლობაზე მოვიხმარეთ მილიარდ ნახევარზე მეტი ცალი აგური. რკინაც მეტ წილად გამოსადეგი არ არის არმატურისათვის. ვერ კეთდება საჭირო ზომის, სიგრძის და სხ.".

მაშასადამე, მშენებლობის დაგვიანებით დაწყება, საალმშენებლო კვალიფიკაციის დაბალი დონე, რის გამო მშენებლობაზე ნამდვილად საჭიროზე მეტი მასალა იხარჯება, საალმშენებლო მასალის მდარე ღირსება,—აი სამი უმთავრესი მიზეზი, რაც ჩვენი მშენებლობის სიძვირეს იწვევს. მშენებლობის გაიაფება და რაციონალიზაცია ჩვენი უმნიშვნელოვანესი ამოცანათაგანია და ამ მხრივ ხსენებულ მიზეზების აღმოფხვრას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

გერმანიის კომპარტიაში

ბერლინი, 4 ნოემბერი. გერმანიის კომპარტიის ცეკას პოლიტბიურომ მიიღო დადგენილება, რომელშიაც კატეგორიულად აღნიშნავს პარტიის ყოველი წევრის უფლებას დაიცვას თავისი პოლიტიკური შეხედულებები პარტიული წესდების ძირითადი დებულებების ფარგლებში; სთვლის რა ამავე დროს საჭიროდ მიმართოს ურბანსის ჯგუფის ლიდერებს განცხადებით, რომლის უარყოფასაც პოლიტბიურო ჩათვლის (გამოტოვებულია)... შემდეგში გერმანიის კომპარტიის რიგებში ყოფნა. პოლიტბიუროს გადაწყვეტილება მხარს უჭერს შემდეგ მოთხოვნილებებს: **1) პარტიის ყველა დადგენილებებისათვის სავალდებულოდ აღიარება; 22) ყოველგვარი ფრაქციული მუშაობის დაგმობა; 8) ყოველგვარი ფრაქციული კავშირის გაწყვეტა მასლოვთან და რუტ ფიშერთან, ისევე, როგორც გერმანიის კომპარტიიდან ყველა გამორაცხულებთან; 4) საერთაშორისო მასშტაბით ფრაქციების შექმნაზე ხელის აღება; 5) პარტმუშაკთა ბერლინის კონფერენციაზე ურბანსის მიერ გაკეთებულ განცხადების უარყოფა.**

ურბანსი, შოლემი და შვანი, რომელთაც ჩაბარებული ჰქონდათ პოლიტბიუროს ეს განცხადება, ჯერ სცდილობდენ თავი აერიდებინათ პირდაპირი პასუხისათვის, იფარებდნენ რა თავს პოლემიკით ცეკას წინააღმდეგ, რის გამოც ცეკამ გადასწყვიტა მიეცა მათთვის ვადა 5 ნოემბრამდე პასუხის გასაცემად. ამ დროის განმავლობაში ურბანსის ფრაქციის ლიდერებმა გაიმეორეს განხეთქილების ახალი ცდა და ოპოზიციონერთ შორის პროვოკაციული განცხადებების გავრცელება, რომელზედაც ხელისმოწერას აგროვებდენ.

„როტე ფანე" ურბანსის ფრაქციის ლიდერების განცხადების გამო სწერს:

„გერმანიის კომპარტიის ცეკა ასრულებს პარტიის წევრთა უმრავლესობის სურვილს და იმიჯნება ისეთ პირებისაგან, რომლებიც (გამოტოვებულია)... ყოველ მომენტში ხელი შეუშალონ ფრაქციულ-გამთიშავ მუშაობას". (ადს).

ამხ. სერგო ორჯონიკიძე

საკავშირო კომპარტიის ც. ს. კომისიის თავმჯდომარეთ და საკავშირო მ. გ. ინსპექციის კომისრათ არჩევის გამო

(ბიოგრაფიული ცნობები)



ამხ. სერგო კონსტანტინეს-ძე ორჯონიკიძე დაიბადა 1886 წ. დასავლეთ საქართველოში, შორაპნის მაზრის სოფ. ღორეშაში შეუძლო აზნაურის ოჯახში.

პირველდაწყებითი სწავლა მიიღო ხარაგოულის ორ კლასიან სასწავლებელში. ამის შემდეგ ის შევიდა თბილისში მიხეილის საავადმყოფოსთან არსებულ საფერშლო სკოლაში, რომელიც 1905 წ. დაამთავრა.

1903 წ. იგი შევიდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში და უკანასკნელის სახელის გამოცვლამდი ბოლშევიკურ ფრაქციაში ირიცხებოდა.

სკოლის დამთავრების შემდეგ რამოდენიმე ხნის განმავლობაში მუშაობდა დასავლეთ საქართველოში, როგორც პროპაგანდისტი-აგიტატორი. 1905 წ. შემოდგომაზე ის აქტიურ მონაწილეობას იღებდა პარტიულ და რევოლიუციონურ მუშაობაში (გუდაუთში).

1905 წ. 24 დეკემბერს იგი დაპატიმრებულ იქნა გუდაუთის ახლოს, სოფ. ხამბარაში გაგრიდან სხვა ამხანაგებთან ერთად ჩამოტანილი იარაღის გადმოტვირთვის დროს. სოხუმის ციხეში გაატარა აპრილის დამლევამდე, როცა მას წაუყენეს ბრალდება მე-126-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით.

ციხიდან გამოშვებული იქნა თავდებ ქვეშ. ამხ. სერგო მოკლე ვადით მიემგზავრება გერმანიაში. გერმანიიდან ბრუნდება ბაქოში 1907 წ. დასაწყისში, აწარმოებს პარტიულ მუშაობას და იმავე დროს ასრულებს ფერშლის მოვალეობას შამსი ასსადულაევის სასარეწაოებზე.

1907 წ. პირველ მაისს მას აპატიმრებენ საპირველმაისო დემონსტრაციის დროს „სტენკა რაზინის" მთაზე. 26 დღის განმავლობაში ზის ბაქოს ციხეში კუჩხიშვილის გვარით. განთავისუფლების შემდეგ ბაქოშივე განაგრძობს მუშაობას. იმ დროს ბაქოში მუშაობდენ: სტალინი. სტეფანე შაუმიანი, ალ. ჯაფარიძე, სპანდარიანი, მდივანი და სხვ. იმავე წლის ოქტომბერში მას კვლავ აპატიმრებენ რ. ს. დ. მ. პ. (ბოლშევიკების) ბაქოს ორგანიზაციის წევრობისათვის, 102 მუხლის მიხედვით უსჯიან გადასახლებას, რის შემდეგ ის იგზავნება სოხუმში და 1905 წ. საქმისათვის მიუსაჯეს 1 ½ წლის ციხე.

1909 წ. გაზაფხულზე იგი გადაასახლეს ანგარის მხარეში, ენისეის გუბერნიის, პინჩუკის ვოლოსტის სოფ. პატასკუაში. ორი თვე დაჰყო მან გადასახლების ადგილას და დაბრუნდა ბაქოში, საიდანაც გაემგზავრა სპარსეთში. სპარსეთში გრძელდებოდა რევოლიუცია, რომელშიც ამხ. სერგო იღებდა მონაწილეობას. სპარსეთში მას არ ჰქონდა გაწყვეტილი კავშირი პარიზის ბოლშევიკურ ჯგუფთან. იგი აწარმოებდა მიწერმოწერას ნადეჟდა კონსტანტინეს ასულ კრუპსკაიას საშუალებით, იღებდა საზღვარ-გარეთის გამოცემებს, ქმნიდა პარტიის ხელის შემწყობ ჯგუფებს ქ. ქ. ენზელში და რეშტში. 1910 წ. დამლევს ამხ. სერგო მიემგზავრება პარიზში.

პარიზში ჩასვლის შემდეგ იგი მუშაობს ბოლშევიკების პარიზის ჯგუფში. 1911 წ. ზაფხულში მან რამდენიმე ხანი გაატარა ლენინის მიერ პარიზის ახლო მოწყობილ პარტიულ სკოლაში. საზღვარგარეთულ ბიუროში მომხდარი განხეთქილებისა და პარტიული კონფერენციის მოსაწვევ საზღვარ-გარეთის საორგანიზაციო კომისიის შექმნის შემდეგ, ის საორგანიზაციო კომისიის მიერ ამხ. რიკოვთან, შვარცთან და ბრესლავლთან ერთად იგზავნება რუსეთში იქ საორგანიზაციო კომისიის მოსაწყობად.

ამხ. სერგომ შემოიარა ჩრდილოეთის, სამხრეთის და ამიერ-კავკასიის მთელი რიგი ქალაქები და საზღვარ-გარეთიდან გამოგზავნილ სხვა ამხანაგებთან ერთად მოახერხა შექმნა საორგანიზაციო კომისია სრულიად რუსეთის პარტიული კონფერენციის მოსაწვევათ. საორგანიზაციო კომისიის პირველი სხდომა შესდგა ბაქოში, სადაც ჩამოვიდენ წარმომადგენლები ურალიდან (ს. შვარცი), კიევიდან, ეკატერინოსლავიდან. მოსკოვისა და პიტერის დელეგატები გზაში დააპატიმრეს. პირველი სხდომის შემდეგ, კომისიამ მუშაობა გადაიტანა თბილისში. ბაქოში ორგანიზაციის ჩავარდნის გამო. თბილისში კომისიამ დაამთავრა თავისი მუშაობა. კონფერენციაზე არჩევნების შემდეგ, კომისიის წევრები გაემგზავრენ პარიზში, იქიდან კი პრაღაში, სადაც შესდგა კონფერენცია. კონფერენციაზე ამხ. სერგო არჩეულ იქნა პარტიის ცენტ. კომიტეტში. კონფერენციის შემდეგ ის დაუყოვნებლივ დაბრუნდა რუსეთში ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს შესაქმნელათ და გაემგზავრა ვოლოგდაში, სადაც ცხოვრობდა გადასახლებული სტალინი. რომელიც არჩეულ იქნა ც. კ. და რუსეთის ბიუროს წევრათ.

ვოლოგდიდან ამხ. ორჯონიკიძე და სტალინი გაემგზავრენ კავკასიაში.

კავკასიიდან ამხ. სერგო სტალინთან ერთად დაბრუნდა პეტერბურგში, სადაც 1912 წ. აპრილში დაპატიმრებულ იქნა ჰუსეინოვის გვარით. პეტერბურგის ოხრანკამ ჩქარა გამოარკვია მისი ვინაობა და იგი პასუხისგებაში იქნა მიცემული გადასახლების ადგილიდან გამოქცევისათვის. 6 თვე გაატარა მან წინასწარ დაპატიმრებაში, რის შემდეგ მას მიუსაჯეს სამი წლის კატორღა და გაგზავნეს შლისელბურგის ციხეში.

1915 წ. შემოდგომაზე გადაასახლეს ციმბირში, ალექსანდრეს გადამგზავნ საპყრობილეში, სადაც გაატარა 1916 წ. გაზაფხულამდე როცა იაკუტსკში გაგზავნეს. თებერვლის რევოლიუციამდი ის ცხოვრობდა სოფ. პოკროვსკოეში, იაკუტსკის ახლოს და მსახურობდა ფერშლათ სამკურნალოში. ამხ. გუბელმანთან (იაროსლავსკში), კირსანოვასთან, გ. ი. პეტროვსკისთან და სხვ. ერთად. თებერვლის რევოლიუციის შემდეგ აწარმოებდა მუშაობას იაკუტსკში რევოლიუციონური ხელისუფლების შესაქმნელათ და იყო აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. მაისში პირველი გემით სხვა ამხანაგებთან ერთად გაემგზავრა იაკუტსკიდან და ივნისში ჩავიდა პეტროგრადში.

აქ ლენინის წინადადებით, იგი შეყვანილ იქნა პეტროგრადის კომიტეტში და აღმასრულებელ კომისიაში. პეტროგრადში მუშაობდა შემოდგომამდე ამხ. სტალინთან და სხვ. ერთად. შემოდგომაზე დროებით გაემგზავრა კავკასიაში საიდანაც დაბრუნდა პეტროგრადში 24 ოქტომბერს. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ის ამხ. მანუილსკისთან ერთად გაგზავნილ იქნა ჩვენს მომქმედ ჯარებში კერენსკის წინააღმდეგ ს. პულკოვოსთან. ამის შემდეგ ის დანიშნულ იქნა უკრაინის, სამხრეთ-რუსეთის და ჩრდილოეთ-კავკასიის საგანგებო კომისრად.

სამოქალაქო ომის ხანაში ამხ. სერგო განუწყვეტლივ ფრონტებზე იმყოფებოდა ჯერ ცარიცინთან, შემდეგ ჩრდილოეთ-კავკასიაში. ჩრდილოეთ-კავკასიის არმიის დამარცხების და მისი ნაწილების ასტრახანისკენ უკან დახევის შემდეგ. ამხ. სერგო ამხ. ფ. მახარაძესთან, ნაზარეტიანთან და მთიელების ჯგუფთან ერთად, რომელსაც მეთაურობდა კალმიკოვი და არტხანოვი, მიდის ინგუშეთის მთებში, საიდანაც 1919 წ. გაზაფხულზე კავკასიის ქედით გადადის მენშევიკურ საქართველოში, იქიდან კი ბაქოში და სათევზაო ნავით მიემგზავრება ასტრახანში ამხ. კამოსთან, ვარო ჯაფარიძესთან და სხვ. ერთად. ასტრახანში ჩავიდა 13 დღის ზღვაში ხეტიალის შემდეგ. ასტრახანიდან ამხ. სერგო გაემგზავრა მოსკოვში.

მოსკოვიდან ის გაგზავნეს დასავლეთის ფრონტზე ამხ. სტალინთან, რომელიც მაშინ დასავლეთის ფრონტის სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს წევრი იყო.

ამხ. ორჯონიკიძე ინიშნება მეთორმეტე არმიის სამხედრო-რევოლიუციონური საბჭოს წევრად და განაგრძობს იქ მუშაობას მამონტოვის მიერ სამხრეთის ფრონტის გარღვევამდი. ამ დროს იგი ლატიშთა დივიზიასთან ერთად იგზავნება სამხრეთის ფრონტზე და ინიშნება მე-14 არმიის სამხედრო - რევოლიუციონურ საბჭოს წევრად. ხარკოვის აღების შემდეგ მას გზავნიან კავკასიის ფრონტზე კავკასიის ფრონტის რევოლიუციონურ-სამხედრო საბჭოს წევრად და კავკასიის რევკომის თავმჯდომარეთ.

აქ ის მუშაობს ამხ. კიროვთან, ტუხაჩევსკისთან და სხვ. ერთად. კიროვთან და სხვ. ერთად პირველი მაისის განთიადზე ის შედის ბაქოში და შემდეგ 1920-21 წ. წ. აქტიურ მონაწილეობას იღებს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში სომხეთსა და საქართველოში.

მეათე ყრილობის შემდეგ იგი არის საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის წევრი.

კანტონის არმია შეტევაზე გადავიდა
რეაქციის ჯარების ნაწილებში დაიწყო არეულობა
შეერთებულ შტატების სენატის არჩევნებში იმარჯვებენ დემოკრატები
იტალიის ზოგიერთ ქალაქებში ფაშისტებმა დაარბიეს საფრანგეთის საკონსულოები

უცხოელები ჩინეთში

საბაჟო გადასახადი

პეკინი, 3 ნოემბერ. მუკდენიდან იტყობინებიან, რომ ჩან-ძო-ლინის მთავრობამ მოულოდნელად გამოაქვეყნა ცნობა, რომ დაირენის და ანდუნის ნავთსადგურებიდან მანჯურიაში გამოზიდულ საქონელზე დაწესებული იქნება ბაჟი თვითღირებულების სამ პროცენტის რაოდენობით. ამავე დროს უქმდება მანჯურიაში საქონლის უბაჟოდ გადატანგადმოტანა.

პრესის აზრით, საგუბერნიო მთავრობის ასეთი ნაბიჯი გამოწვეულია კანტონის მიბაძვით; უკანასკნელმა რამოდენიმე ხნის წინ ბაჟი დააწესა კანტონის ნავთსადგურში შემოსატან საქონელზე.

უცხოელების პროტესტი

ხარბინი, 3 ნოემბერი. მუკდენის საკონსულო კორპუსმა სასტიკი პროტესტი განაცხადა უცხოეთის საქონლის უბაჟოდ შეზიდვის აკრძალვის წინააღმდეგ მანჯურიაში.

მუკდენის ხელისუფლებამ ამ პროტესტის გამო გადასწყვიტა დეკემბრის ბოლომდე ისევ ძველი წესი დასტოვოს. საკონსულო. კორპუსს ამის შესახებ ჯერ კიდევ არავითარი ოფიციალური ცნობა არ მიუღია. (ადს).

შეტაკება ინგლისელებთან

პეკინი, 3 ნოემბერი, ჩუნკინში. სიჩუანის პროვინციაში **ინგლისელებსა და ჩინელებს შორის შეტაკება მოხდა,** რომლის დროს ორი ჩინელი სერიოზულად დაიჭრა. (ადს.)

ახალი დირექტივები

პეკინი, 3 ნოემბერი. პეკინის გარეშე საქმეთა სამინისტრომ წინადადება მისცა ჩინეთის საელჩოს ლონდონში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ინგლისის საიმპერიო კონფერენციას, რადგან **შესაძლოა კონფერენციის გადაწყვეტილებებს ახლო კავშირი ექნეს ჩინეთთან** (ადს.).

კანტონის არმიის გამარჯვება

ბრძოლა დაიწყო

პეკინი, 3 ნოემბერი. **1 ნოემბერს** ცზიან-სის პროვინციაში, დეიანისა და გაო-ანის რაიონში დაიწყო სერიოზული ბრძოლა. კანტონის არმიის მე-7 კორპუსის ნაწილები მესამე კორპუსისა და მეოთხე განსაკუთრებულ დივიზიის ნაწილებთან ერთად გადავიდა მოულოდნელ შეტევაზე დეიანის წინააღმდეგ იმ მიზნით, რომ გადასჭრან ნან-ჩან-ჩანცზიანის გზა. ერთ და იმავე დროს კანტონის არმიის მეორე განსაკუთრებული დივიზიის ნაწილებმა დაიწყეს შეტევა გაო-ანზე. (ადს).

რეაქციის ბანაკში

პეკინი, 3 ნოემბერი. ფუცზიანის პროვინციის ჯარების მთავარსარდალმა ჩჟოუ-ინ-ჟენმა ოფიციალური თხოვნით მიმართა სუნ-ჩუან-ფანს, რომ სასწრაფოდ გაუგზავნოს დამხმარე ძალები. იგი ამასთანავე აღნიშნავს, რომ მესამე დივიზიის ნაწილები აჯანყდენ და მთელი ჯარების დემორალიზაცია მოახდინეს ფრონტზე. (ადს).

რეაქცია მარცხდება

პეკინი, 3 ნოემბერი. იუწყებიან, რომ კანტონის ჯარებმა დაიჭირეს ფუჩჟე-უკი და ცზინ-სიენი ნან-ჩანის სამხრეთ-აღმოსავლეთით. (ადს).

უ-პეი-ფუს ჯარებში

პეკინი, 3 ნოემბერი. მიუხედავად ცნობებისა იმის შესახებ, რომ თითქოს უ-პეი-ფუ იმარჯვებს ხუ-ბეის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში, ჩინეთის პრესა აღიარებს, რომ მთელი ეს რაიონი —უშენ-გუანის უღელტეხილი (გადასავალი ხენან-ხუბეის საზღვარზე) **ისევ კანტონის ჯარების ხელში რჩება.**

უ-პეი-ფუს ჯარები ორ ჯგუფად გაიყო, რომელნიც ერთი მეორისადმი მტრულად არიან განწყობილნი. უ-პეი-ფუს მდგომარეობა კრიტიკული ხდება. უ-პეი-ფუ ცდილობს დაარწმუნოს ორთავე ჯგუფის ხელმძღვანელნი სამხრეთისაკენ გალაშქრებაზე. თუ ეს ვერ მოახერხა, მაშინ ის აპირებს თავი დაანებოს ჯარების სარდლობას. (ადს).

სავაჭრო ურთიერთობა ლიტვასთან

მოსკოვი, 4 ნოემბერი. ყველა მოსამზადებელმა კომისიებმა ლიტვა - საბჭოთა ხელშეკრულების დასადებად, უკვე დაამთავრეს ძირითადი სამუშაო; სატრანზიტო - სატრანსპორტო კომისიამ 4 ნოემბერს უკვე დაამტკიცა შეთანხმების საბოლოო ტექსტი სატრანზიტო - სატრანსპორტო საკითხების შესახებ. (ადს)

რეიხსტაგის სესია

პარიზი, 4 ნოემბერი. ბერლინიდან იუწყებიან, რომ **გაიხსნა რეიხსტაგის სესია.**

რაიხსტაგმა უარჰყო კომუნისტების წინადადება—დაუყოვნებლივ შესდგომოდენ პრუსიის მთავრობის ჰოჰენცოლერნებთან შეთანხმების განხილვას.

(ადს).

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაფიცვა ინგლისში

შეთანხმების მომხრეები

ლონდონი, 3 ნოემბერი. კონსერვატიულ პარტიაში გრძელდება ბრძოლა იმის შესახებ, თუ როგორი პოლიტიკა უნდა გატარდეს საქვანახშირო კონფლიქტში. ძნელია მებრძოლი მხარეების ძალთა განწყობილების განსაზღვრა. ბოლდუინი, როგორც სჩანს, შეურიგებელთა ხელშია, რომელნიც მოითხოვენ ომის ბოლომდე მიყვანას.

სიტის წრეები მომხრე არიან კონფლიქტის რაც შეიძლება ჩქარა მოგვარებისა, მაგრამ თუ საქმიანი წრეების ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელმაც განიცადა გაფიცვის სუსხი, მომხრეა მოლაპარაკების განახლებისა, მეორე ნაწილი, რომელსაც დღემდე არ გაფიცვის გამო აგრე რიგად არ დაზიანებულა სარგებლობს დროებითი უპირატესობით კონფლიქტის გაგრძელების ნიადაგზე, მოითხოვს სამთამადნო მუშათა ფედერაციის ლიკვიდაციას, რათა ამით გარანტიები ექნეს მომავალში. (ს. კ. დ. ს.).

გაფიცულთა შორის

ლონდონი, 3 ნოემბერი. ჰარრი პოლიტტი, რომელიც ლეისტერბირში აწარმოებს კამპანიას მუშაობის შეწყვეტის სასარგებლოდ, იუწყება, რომ მემადაროენი ათასობით სტოვებს სამუშაოს.

აღმოსავლეთ კირკბიდან მიღებული „უორკერს უიკლში" გამოქვეყნებული ცნობებით, **ნოტინჰამშირში 90 პროც. იმ მუშებისა, რომლებმაც განაახლეს მუშაობა, კვლავ დაუბრუნდა გაფიცულთა რიგებს.** ასეთივე ცნობებია მიღებული კიდსგროვიდან, სტაფორდშირიდან, რომ

ლების მიხედვითაც, მრავალი, სამუშაოზე დაბრუნებული მემადაროე, უკმაყოფილო შრომის ახალი პირობებით, კვლავ შეუერთდა გაფიცვას. კიდსგროვიდან იუწყებიან, რომ იქ მემადაროებმა მთლად გააუარგისეს მთავარი მაღარო. ეს—პირველი შემთხვევაა მთელი გაფიცვის განმავლობაში.

იკვლევს რა სამუშაოზე მყოფ მემადაროეთა რაოდენობას, ლიბერალურ **„მანჩესტერ გარდიენის"** კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ 29 ოქტომბერს მომუშავე მემადაროეთა რიცხვი შეადგენს გაფიცვამდე მომუშავე ყველა მემადაროეთა 23 პროცენტს; სექტემბრის ბოლოს, კორესპონდენტის სიტყვით, მომუშავე მემადაროეთა რიცხვი უდრიდა გაფიცვამდე მომუშავეთა 13 პროცენტს. „ვიღებთ რა მხედველობაში მთელ რიგ მიზეზებს, — სწერს კორესპონდენტი,— რომელებმაც გამოიწვიეს მემადაროების მიერ მაღაროებში მუშაობის განახლება, როგორიცაა, მაგალითად: დახმარების გაცემის შეწყვეტა, მაღაროს მეპატრონეთათა პროპაგანდა, განსაკუთრებული პრემიების მიცემა მუშაობის განახლების შემთხვევაში და სხ. 18 პროც. არ შეიძლება ჩაითვალოს დიდ რიცხვად". კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ მუშაობაზე დაბრუნებულ მემადაროეთა 50 პროც-ზე მეტი მოდის ცენტრალურ ინგლისზე, რომლის ნახშირის მრეწველობაც შეადგენს მთელი ინგლისის ნახშირო მრეწველობის ერთ მეხუთედს. (ს. კ. დ. ს.)

მუსოლინზე თავდასხმის შემდეგ

ფაშისტების თარეში

რომი, 3 ნოემბერი. გამოძიება მუსოლინზე თავდასხმის შესახებ ბრკოლდება იმით, რომ ძამბონი მოკლეს თვით სამართლებით. მტკიცდება, რომ ძამბონი იყო ახალგაზრდათა ფაშისტური ორგანიზაციის წევრი და რომ მისი ოჯახის ყველა წევრები, რომელნიც ეხლა დატუსაღებულია, ფაშისტებია.

ფაშისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა **ტურატიმ** მიტინგზე წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა, რომ აუცილებელია ფხიზელი ყურადღება მიექცეს იმას, რომ ფაშისტურ პარტიაში ბნელის მიზნებით არიან შესულნი მასონები და ფაშიზმის მოწინააღმდეგე მიმდინარეობათა სხვა წარმომადგენელნი. ტურატიმ განაცხადა, რომ **ფაშისტური პარტიის დირექტორია წინადადებას მისცემს დიდ საბჭოს, რათა დაუყოვნებლივ დასჯილ იქმნას პოლკოვნიკი ძამბონი და გენერალი კაპელო, რომელთაც ბრალდებათ თავდასხმის მომზადება წარსული წლის** 4 ნოემბერს, და აგრეთვე ლიუჩეტი, რომელმაც ამა წლის 11 ნოემბერს ყუმბარა ესროლა მუსოლინს.

მუშათა და ბურჟუაზიული ოპოზიციური პრესა, მათ შორის კომპარტიის ორგანო „უნიტა" აკრძალულია განუსაზღვრელ დრომდე სათანადო ქალაქების პრეფექტების დადგენილებით. **რომში** ოპოზიციური გაზეთების კორესპონდენტები გამორიცხულია პრესის ასოციაციიდან.

ნეაპოლში ფაშისტებმა დაარბიეს მთელი რიგი ბინებისა, მათ შორის ბორდიგას და ლაბრიოლას ბინები, რომში დარბეულია ბომბაჩის ბინა.

მილანის მახლობლად დასწვეს სახალხო პარტიის („პოპოლარი") კოოპერატივი.

საფრანგეთის საელჩოს შენობას რომში იცავს ჯარი, პოლიცია და ფაშისტური მილიციის რაზმები. (ადს).

არჩევნები ამერიკაში

კულიჯის დამარცხება

ნიუ-იორკი, 3 ნოემბერი. **პირველი არა სრული ცნობები სენატის არჩევნების შესახებ მოწმობენ რესპუბლიკანელების—კულიჯის მომხრეების სერიოზულ დამარცხებას.**

ეხლანდელ სენატის შემადგენლობაში ადგილები ასეა განაწილებული: რესპუბლიკანელები—55, დემოკრატები—40, მუშურ-ფერმერული პარტია—1. უკვე ის არა სრული ცნობები იმ 32 სენატორის (26 რესპუბლიკანელის და 6 დემოკრატის) გადარჩევის შესახებ, რომელნიც 1927 წ. მარტში გამოვლენ სენატიდან, მოწმობენ, რომ სენატის ახალი შემადგენლობა ასეთი იქნება: 47 დემოკრატი, 46 რესპუბლიკანელი და ერთი წარმომადგენელი მუშურ-ფერმერულ პარტიიდან. რესპუბლიკანელებს შორის 7 კაცი „პროგრესიული რესპუბლიკანელია", რომელნიც კულიჯის წინააღმდეგ ილაშქრებენ მთელ რიგ საკითხების გამო და ხმას დემოკრატებთან ერთად მიცემენ. ამას გარდა, რესპუბლიკანელ სენატორებს შორის არის კიდევ ეგრედ წოდებული „ბორას ჯგუფი", არიან აგრეთვე კულიჯის მომხრეებსა და პროგრესიულ რესპუბლიკანელებს შორის მერყევი ელემენტები. არჩევნების შედეგები ჯერ გავლენას არ იქონიებს სენატის შემადგენლობაზე, ვინაიდან ახალი სენატორები თანამდებობის შესრულებას მხოლოდ 1927 წლის 4 მარტიდან შეუდგებიან.

დეკემბერში გაიხსნება ეხლანდელი შემადგენლობის სენატის უკანასკნელი სესია.

დემოკრატების გამარჯვება

ნიუ-იორკი, 3 ნოემბერი. შეერთებულ შტატების სენატისა და წარმომადგენელთა პალატის არჩევნების მსვლელობის პირველი შედეგები მოწმობენ **რომ დემოკრატებმა ბევრ ოლქებში გაიმარჯვეს.** დემოკრატებმა გაიმარჯვეს ნიუ-იორკისა და მესაჩუზეტოს შტატებში.

შენიშვნა: ეხლანდელ არჩევნების დროს წარმომადგენელთა პალატა ხელახლა იქნება არჩეული მთლიანად, ხოლო სენატში კი მხოლოდ 32 წევრს აირჩევენ. (ადს).

ინგლისის პროფკავშირებში

ლონდონი, 4 ნოემბერი. პროფკავშირთა აღმასკომების კონფერენციამ დაადგინა წინადადება მისცეს გაერთიანებულ მუშებს ნებაყოფლობითი გადარიცხონ მემაღაროეთა სასარგებლოთ ყოველდღე თვითეულმა თითო პენსი (დაახლოვებით 4 კაპიკი).

კონფერენციაზე თავმჯდომარეობდა **პიუ.**

დაასურათა რა მემაღაროეთა მდგომარეობა, კუკმა განსაკუთრებით აღნიშნა რომ ანარიცხების შემოღება გააძლიერებდა სამთა-მადნო მუშათა პოზიციებს.

„თუ პროფკავშირები ბედის ანაბარა მიატოვებენ მემაღაროეთ ესოდენ მძიმე მომენტში, განაცხადა **კუკმა**, მომავალი თაობის წყევლა დაგედებათ თქვენ".

ფედერაციის ხაზინადარმა **რიჩარდსონმა** აცნობა კონფერენციას, რომ სულ სამთამადნო მუშათა სასარგებლოდ შემოსულია 1.600.000 გირვანქა სტერლინგი, **აქედან საბჭოთა კავშირისაგან—960 ათასი გ. სტ., ამსტერდამის ინტერნაციონალისაგან—მხოლოდ 28.000 გ. სტ. და ამსტერდამის შრომის ფედერაციისაგან—13.000 გ. სტერლ.**

ნოქართა ნაციონალური კავშირის გენერალურმა მდივანმა და გენერალურ საბჭოს წევრმა, **ჯერომმა** აცნობა კონფერენციას ნება-ყოფლობითი ანარიცხების შემოღების შესახებ.

რეზოლიუცია წინადადებას აძლევს პროფკავშირთა აღმასკომებს ანარიცხები დაუყოვნებლივ გადასცენ ხოლმე სამთა-მადნო მუშათა ფედერაციას.

პოლსვორტმა და ჯეგერმა ხაზი გაუსვეს იმას, რომ დაწესებულ ყოველდღიურ ანარიცხების რაოდენობა „მეტად მცირეა" და განაცხადეს, რომ ისინი მიესალმებოდენ ამ ჯამის გაორკეცებას და გასამკეცებას. მათ აღნიშნეს, აგრეთვე, რომ ანარიცხები აუცილებელია იმ მორალური შთაბეჭდილების გამო, რომელსაც ის მოახდენს სამთა-მადნო მუშებზე, განსაკუთრებით მაღაროს მეპატრონეებზე, რომელთაც იმის იმედი აქვთ, რომ მემაღაროეები დანებდებიან. ამასთან ერთად მათ აცნობეს, რომ ნოქართა კავშირი დაუყოვნებლივ გადასცემს სამთა-მადნო მუშებს 10.000 გ. სტერლინგს ანარიცხების ანგარიშზე ავანსის სახით.

ნაციონალური ასოციაციის გენერალურმა მდივანმა, მეავეჯე **გესსინმა**, რეზოლიუციაში შეიტანა შესწორება, რომლითაც წინადადებას აძლევს გენერალურ საბჭოს შემოიღოს იძულებითი ანარიცხები 6 პენსის (დაახლოებით 24 კაპ.) რაოდენობით. ეს შესწორება უარყოფილ იქნა იმ მიზეზით, რომ „გენერალურ საბჭოს არა აქვს ანარიცხების დაწესების უფლებაო".

ტონასმა მონაწილეობა მიიღო კამათში. ის მოუწოდებდა ნოქართა კავშირის წარმომადგენლებს უკანვე წაეღოთ მათ მიერ შემოტანილი რეზოლიუცია და ილაშქრებდა ანარიცხების წინააღმდეგ.

კლაინმა წინააღმდეგ მოლოდინისა, მხარი დაუჭირა ნოქართა კავშირის რეზოლიუციას.

ხუელსმა და ვერბერტ სმიტმა, რომელნიც უკანასკნელად გამოვიდენ კამათში, განაცხადეს, რომ „საჭიროა რითიმე მაინც დავეხმაროთ მემაღაროებს".

რეზოლიუცია თითების აწევით იქნა მიღებული.

ფიქრობენ რომ ანარიცხები დაწესებული რაოდენობით კვირაში დაახლოვებით 60,000 გირ. სტერლინგს შეადგენს, თუ ვიანგარიშებთ, რომ შეკავშირებულ სრული დროით მომუშავე მუშების რიცხვი 2 მილიონს უდრის და არა სრულ დროით მომუშავეები—500,000 კაცს. ეს ანგარიში გამართლდება მხოლოდ იმ შემთხვევაში. თუ პროფკავშირების წევრები გამოეხმაურებიან მოწოდებას და დაიწყებენ თანხების გადარიცხვას. (ადს).

არეულობა საპატიმროში

ლონდონი, 4 ნოემბერი. ნიუ-იორკის ბიუროს ცნობით, ეგრედ-წოდებულ **„მესაფლავე საპატიმროში" მოხდა არეულობა.** დაპატიმრებულნი გამოვარდენ ეზოში, სადაც რამდენიმე ასეული პოლიციელი შეიკრიბა; **საპატიმროს გარს შემოარტყეს ალყა ტყვიისმფრქვევლებით და თოფებით.** დაპატიმრებულთა ყოველგვარი ცდა გაქცეულიყვნენ საპატიმროდან—უშედეგოთ დამთავრდა. ორი ტუსაღი და ერთი დარაჯი მოკლულია, ორი დარაჯი და ერთი ტუსაღი დაჭრილია. (ადს).

ოსმალეთის მეჯლისში

ანგორა, 3 ნოემბერი. ოსმალეთის პარლამენტის გახსნაზე სიტყვა წარმოსთქვა რესპუბლიკის პრეზიდენტმა ქემალ-ფაშამ. შეეხო რა საგარეო პოლიტიკის საკითხს, ქემალ-ფაშამ განაცხადა:

„საგარეო პოლიტიკას, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ და რომელიც მშვიდობიანობისაკენ არის მიმართული, ჩვენთვის ხელსაყრელი შედეგები მოაქვს.

ჩვენი დამოკიდებულება რუსეთთან გულწრფელი და მეგობრულია, ის ემყარება ხელშეკრულებას უშიშროების და ნეიტრალიტეტის გარანტიების შესახებ". (ადს).

კუკის დეპეშა

მოსკოვი, 4 ნოემბერი. საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ტომსკიმ ინგლისის მემაღაროეთა ფედერაციის მდივნისაგან მიიღო შემდეგი შინაარსის დეპეშა: **„უკანასკნელი შემოწირულება 1 მილიონი მანეთის რაოდენობით ეხლა მივიღეთ. ვღებულობ ცნობათ, რომ შემდეგი დახმარება გადმოგზავნილი იქნება ამ კვირის ბოლოს გთხოვთ გადასცეთ ჩვენს საბჭოთა ამხანაგებს გულწრფელი და გულითადი მადლობა ინგლისელ მემაღაროელებისაგან".** (ადს.).

შეთქმულება ესპანეთში

ლონდონი, 4 ნოემბერი. **„დეილი მეილის"** პარიზელი კორესპონდენტი იუწყება, რომ **საფრანგეთ-ესპანეთის საზღვარზე გაიგზავნა საფრანგეთის მცველი პოლიციელების დიდი რაოდენობა აღმოჩენილ შეთქმულების გამოსაძიებლად.** შეთქმულების მიზანი იყო სამხედრო აჯანყების მოწყობა ესპანეთში ალფონსისა და პრიმო-დე-რივერას ჩამოსაგდებათ. **საზღვართან ახლო მდებარე ქალაქებში მოხდა 200-დე დაპატიმრება.** შეთქმულებაში მონაწილეთაგან უმეტესი ესპანელებია, მაგრამ არიან იტალიელებიც. (ადს).

კრიზისი ბელგიაში

პარიზი, 4 ნოემბერი. ბრიუსელიდან იუწყებიან, რომ კაბინეტმა მეფეს წარუდგინა კანონ-პროექტი იმ სიძნელეთა თავიდან ასაცილებლად, რომელიც გამოწვეულია ქვანახშირის კრიზისით. გადაიდო 25 მილ. ფრანკი ლიეჟთან ჯებირის ასაგებათ.

(ადს).

გამოფენა ბერლინში

ბერლინი, 3 ნოემბერი. 3 ნოემბერს სამხატვრო მრეწველობის მუზეუმის შენობაში **გაიხსნა ძველი რუსული მხატვრობის გამოფენა**, რომელიც მოაწყო აღმოსავლეთ ევროპის შესწავლის გერმანულმა საზოგადოებამ. (ადს).

ღამის ცნობები

ფაშისტების ბრბო

ლონდონი, 4 ნოემბერი. „დეილი-მეილის" ცნობით, მუსოლინიზე თავდასხმასთან დაკავშირებით მოხდა სერიოზული ინციდენტები. ბრბო შეიჭრა საფრანგეთის საელჩოში ტრიპოლში და ბენგაზში. როგორც იუწყებიან, ბენგაზში ადგილობრივმა ხელისუფლებამ აიძულა საფრანგეთის ელჩი აეწია იტალიის დროშაც საფრანგეთის დროშის გვერდით.

კუკის განცხადება

ლონდონი, 4 ნოემბერი. კუკი კატეგორიულად უარყოფს მთელ რიგ გაზეთების მიერ გამოქვეყნებულ ცნობას, რომლის მიზანია ისეთი შთაბეჭდილების შექმნა, თითქოს სამთა-მადნო მუშათა ფედერაცია თანხმა იყოს სამთო მრეწველობაში კონფლიქტის მოწესრიგებისა ხარაიონო შეთანხმებების საფუძველზე (ადს).

ფაშიზმის „გაღრმავება"

პარიზი, 4 ნოემბერი. ფაშისტების ოფიციალური ორგანო „იმპერო" მოითხოვს ფაშიზმის გაძლიერებას. გაზეთი ლაპარაკობს, რომ ფაშისტების მოწინააღმდეგეები დაუზოგავად განადგურებული უნდა იქნენო.

გენსაბჭოს მიმართვა

ლონდონი, 4 ნოემბერი. გენერალურმა საბჭომ მიმართა ცირკულიარული წერილით მასში შემავალ კავშირებს, რომელთაც წინადადებას აძლევს, რაც შეიძლება სასწრაფო წესით ჩატარებულ იქნას მემაღაროეთა სასარგებლოთ პროფკავშირთა წევრების მიერ ანარიცხების გადადება. (ადს).

საფრანგეთი და იტალია

პარიზი, 4 ნოემბერი. საფრანგეთის საწინააღმდეგო მანიფესტაციების გახშირება იტალიაში დიდ უკმაყოფილებას იწვევს საფრანგეთის მთავრობის წრეებში. ხვალ მინისტრთა საბჭო განიხილავს ზომებს ასეთი ინციდენტის განმეორების თავიდან ასაცდენად.

პოლონეთის პარტიები

ვარშავა, 3 ნოემბერი. ბარტელის ინიციატივით შესდგება მთავრობის თათბირი სამეურნეო წრეების წარმომადგენლებთან ერთად. თათბირზე მოწვეულია 50 კაცი, რომელნიც ასე თუ ისე დაინტერესებულნი არიან მსხვილი მრეწველობის კავშირთან. თათბირის დღის წესრიგის ერთი მუხლთაგანია მუდმივი თანამშრომლობის დამყარება სამეურნეო წრეებთან. მთავრობასთან ახლო მდგარი პრესა აცხადებს, **რომ მრეწველთა წარმომადგენლების თვალსაზრისი, რომელიც გამომჟღავნდება თათბირზე, მთავრობისათვის საფუძველი იქნება მისი ორიენტაციისათვის შემდგომ ღონისძიებების მისაღებათ.**

პრესა აღნიშნავს, რომ ნესვიეჟში გამართული დემონსტრაციის ერთი მიზეზთაგანი იყო, ზიანის მიყენება ნაციონალ-დემოკრატებისათვის. პრესის აზრით, ახალი კონსერვატიული პარტია, რომელსაც აარსებენ განაპირა [illegible] მემამულენი და რომლის პირველი ყრილობა ნოემბერში შესდგება, სერიოზულად გამოთხრის ძირს ნაციონალ-დემოკრატების გავლენას და დააჩქარებს გათიშვას ქრისტიანოო-ნაციონალისტურ პარტიაში. გაზეთების ცნობით ნესვიეჟში მიღებულ იქმნა დადგენილება, **რომ 5 ნოემბერს ვარშავაში მოწვეულ იქმნას კონსერვატიული ორგანიზაციების ყრილობა. ყრილობის მოწვევას** [illegible] **ლისტურ პარტიის ბელადებ, სტრონსკის მონაწილეობის გარეშე.** [illegible] ამოწმებს იმას რომ უთანხმოება არსებობს ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის წრეებში.

სეიმის წრეების ცნობით პეპეესელთა პარტიაში ნესვიეჟის ყრილობის შემდეგ კიდევ უფრო ძლიერად განცხოველდა ბრძოლა მთავრობისადმი დამოკიდებულობის საკითხში. დადის ხმები. რომ შესაძლებელია გადადგეს შრომის მინისტრი პეპეესოველი მორაჩევსკი. (ს. ქ. დ. ს.).

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ამინდი

სიმფეროპოლი, 4 ნოემბერი. **აქ არის მზიანი ცხელი, თითქმის ზაფხულის ამინდი.** სითბოს ტემპერატურა აღწევს 20 გრადუსს. (ადს)

სევასტოპოლი, 4 ნოემბერი. **სდგას ამ დროისათვის არაჩვეულებრივი ცხელი ამინდი.** ჩრდილში 20 გრადუსი. (ადს).

ქარბუქი

ვიატკა, 4 ნოემბერი.. ქარბუქმა, რომელიც დაიწყო 2 ნოემბერს და მთელი ღამე გაგრძელდა, შეაჩერა რკინისგზის მოძრაობა.

მოსკოვის სწრაფი მატარებელი და ლენინგრადის საფოსტო მატარებელი შეიჭრენ თოვლში და დიდის სიძნელით ამოთხარეს.

საქონლის მატარებლების მოძრაობა სრულიად შეწყდა და მხოლოდ დღეს დილით განახლდა. (ადს).

საარბიტრაჟო კომისია

მოსკოვი, 4 ნოემბერი. 15 ნოემბერს ს. ს. რ. ფ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის დადგენილებით, ბაქოში გაიხსნება პურის საარბიტრაჟო კომისია, რომელიც გაუწევს სამსახურს აზერბეიჯანის რესპუბლიკის რაიონებს.

პურის საარბიტრაჟო კომისია გაიხსნება აგრეთვე თბილისშიაც ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში შემავალ რესპუბლიკების საჭიროების დასაკმაყოფილებლად, გარდა აზერბეიჯანისა. (ადს).

ხელოვნური წვიმა

ლენინგრადი, 4 ნოემბერი. სამეცნიერო - მელიორატიულ ინსტიტუტის ჰიდრო - მექანიკურმა ქარხანამ მოაწყო განყოფილება, რომელშიაც დაამზადებენ იარაღებს ხელოვნური წვიმის მოსაყვანად. (ადს).

მიწის ძვრა

ლენინგრადი, 4 ნოემბერი. სამეცნიერო აკადემიის სეისმურმა სადგურმა 2 ნოემბერს აღნიშნა ორი საგრძნობი მიწის ძვრა. ორთავე მიწის ძვრის კერა იმყოფებოდა კურილის კუნძულების რაიონებში. (ადს).

ამ.-კავ. განსახკომების

წარმომადგენელთა თათბირი

გუშინ დილის სხდომაზე თათბირმა მოისმინა ამხ. **ვეგეჭკორის** მოხსენება გლეხთა ახალგაზრდობის სკოლების შესახებ.

გლეხთა ახალგაზრდობის სკოლები,—ამბობს მომხსენებელი,—ჩვენს პირობებში არის გლეხური ახალგაზრდობის აღზრდის ფორმა; ამ სკოლების საშუალებით გლეხების სასიცოცხლო ინტერესები უკავშირდება სოციალისტური მეურნეობის ინტერესებს სოფლად.

აღზრდის ამ ფორმას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

საქართველოში გლეხური ახალგაზრდობის სკოლები მეტია, ვიდრე სხვა რესპუბლიკებში. ამ სკოლებს აქვთ მნიშვნელოვანი მიღწევები და ისინი არ ჩამორჩებიან რუსეთის ზოგიერთ სკოლებს.

საქართველოში ამჟამად არის გლეხური ახალგაზრდობის 61 სკოლა, რომლებშიაც სწავლობს 1.830 მოწაფე. სომხეთში არის 6 სკოლა, აზერბეიჯანში—9.

გლეხთა ახალგაზრდობის სკოლებთან ერთად არსებობს სკოლები, რომლებსაც აწყობენ კოოპერატიული ორგანიზაციები კოოპერატორების მოსამზადებლად.

შეეხო რა სკოლების მატერიალურ მდგომარეობას, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გლეხთა ახალგაზრდობის სკოლები გადაყვანილი უნდა იქნეს ადგილობრივ ბიუჯეტზე. ამ საკითხს უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნება სკოლების ქსელის გაფართოება.

გლეხთა ახალგაზრდობის სკოლებმა მჭიდრო კავშირი უნდა დაამყარონ ადგილობრივ აგრონომებთან, მათ პროპაგანდა უნდა გასწიონ კოლექტიური მეურნეობის სასარგებლოდ, რისთვისაც უნდა იქონიონ საკუთარი მეურნეობანი.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. **მარიამ ორახელაშვილმა, პეტროსიანმა** და სხვებმა.

საღამოს სხდომაზე თათბირმა მოისმინა აზერბეიჯანის განათლების სახალხო კომისარის მოადგილის—ამხ. **მამედ-ზადეს** მოხსენება პროფტექნიკური განათლების ერთიანი სისტემის შესახებ.

აღწერა

ანკეტები

10 ნოემბრიდან დაიწყება საკავშირო აღწერაში მონაწილეობის მიღების მსურველთა ანკეტების განხილვა. განხილვაში მონაწილეობას მიიღებენ შრ. კომისარიატის, თბ. აღმასკომის, საორგანიზაციო განყოფილების და ადგილკომის წარმომადგენლები.

აღმწერლები

აღწერის ჩამტარებელმა ბიურომ გადასწყვიტა აღწერის ჩასატარებლად დანიშნოს: თბილისში 1.500 რეგისტრატორი, თბილისის მაზრაში—300 რეგისტრატორი და 30 ინსტრუქტორი.

მანგლისის გეგმა

აღწერის ჩამტარებელმა ბიურომ დაადგინა აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილების წინაშე აღძრას შუამდგომლობა შეადგინოს მანგლისის სქემატიური გეგმა.

რაიონული პუნქტები

აღწერის ჩამტარებელი ბიურო უკვე შეუდგა რაიონულ პუნქტების ამორჩევას. ჯერ-ჯერობით ამორჩეულია ათი პუნქტი.

სას.-სამ. გადასახადი

თბილისის მაზრაში ამჟამად გაცხოველებით სწარმოებს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა. მხოლოდ ზოგიერთ თემებში გადასახადის აკრეფა ვერ მიმდინარეობს სასურველად. თბ. აღმასკომმა წინადადება მისცა ყველა თემსაბჭოებს გააძლიერონ მუშაობა გადასახადის ასაკრეფად.

აგრეთვე წინადადება მიეცა თემსაბჭოებს დაუყოვნებლივ გადმოგზავნონ გადასახადის გაწერით უკმაყოფილოთა საჩივრების განმხილველ ცენტრალურ კომისიაში გადასახადის შესახებ გლეხების მიერ აღძრული საჩივრები. ამავე დროს საფინანსო განყოფილებას დაევალა გამოიკვლიოს შეძლებული და საშუალო შეძლების გლეხი რამდენი პროცენტითაა დაბეგრილი და რამდენია განთავისუფლებული გადასახადისაგან.

ფართალი

ოქტომბრის მეორე ნახევარში, როგორც პირველ ნახევარშიაც, თბილისის ფართლეულობის ბაზარი მეტად გაცხოველებული იყო.

განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა სასეზონო ბამბეულ მანუფაქტურაზე, მატყლის მაგარ ქსოვილებზე, კამვოლის და სელის საქონელზე და ტრიკოტაჟის ნაწარმოებზე. მოთხოვნილება იმდენათ დიდია, რომ ვერ კმაყოფილდება სავსებით.

ოქტომბრის უკანასკნელ რიცხვებში დადებული იქნა მთელი რიგი ვარიგებები ქუთაისის მაუდის ფაბრიკის ნაწარმოებზე.

წინანდებურად გაცხოველებულია ნართის ბაზარი, ფასების ზრდა გრძელდება.

დიდი მოთხოვნილებაა აგრეთვე ზამბაზე, განსაკუთრებით მაღალ და საშუალო ხარისხის ბამბაზე.

ქრონიკა

წამლების დამზადების მექანიზაცია

წამლების დამზადების მექანიზაცია დიდი ხანი არ არის, რაც დაიწყო და უნდა აღინიშნოს, რომ მან მეტად დიდი შედეგები გამოიღო. თუ წინად ავადმყოფები იძულებული იყვენ მთელი დღეები ეცადათ წამლების დამზადებისათვის, ამჟამად აფთიაქი წამლის დამზადებს უნდება ერთი ან ერთნახევარი საათი.

ეს იმიტომ, რომ, აფთიაქების გაცემულ წამლების 40 პროც. შეადგენს მექანიკურად დამზადებული წამლეული.

მომავალში განზრახულია წამლეულობის დამზადების მექანიზაცია გატარდეს 60 პროცენტით, რაც კიდევ უფრო გაადვილებს საქმეს და

განათლების მუშაკთა სახლი

განათლების მუშაკთა სახლის გამგეობამ გამოიმუშავა სახლის მომავალ მუშაობის გეგმა, რომლის მიხედვით ახლო ხანში მოხდება განათლების მუშაკთა სახლის წევრთა ხელახალი აღრიცხვა; სახლში მოეწყობა მასიური გასართობები—კონცერტები, კინო, ლექციები პოლიტ-პედაგოგიურ და სამეცნიერო თემებზე; წარმოდგენები და სხვ.; ფართე პროგრამებით გაიმართება საკალენდარო დღესასწაულები; სახლთან აგრეთვე მოეწყობა დასასვენებელი სახლი (ბუფეტი, ნარდი, ჭადრაკი და სხვ. გასართობები).

სახლი სისტემატიურათ მოაწყობს ექსკურსიებს.

გაძლიერებული იქნება მუშაობა ეროვნულ უმცირესობათა შორის. გამგეობას გადაწყვეტილი აქვს აგრეთვე მჭიდრო კავშირი დაიჭიროს სამაზრო განათლების მუშაკთა კავშირებთან და ყოველთვიურად შეადგინოს თავის მუშაობის ანგარიში და გეგმა.

სარევიზიო კომისიები

საქართველოს ფინსახკომის საკონტროლო განყოფილება ამჟამად აწარმოებს მუშაობას სარევიზიო კომისიების მოსაწყობად სათემო აღმასკომებთან.

კომისიების დანიშნულებაა რევიზია გაუკეთონ სათემო აღმასკომებს, რომ სათემო ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯები გეგმაშეწონილად იხარჯებოდეს, რომ ადგილი არ ჰქონდეს ზედმეტი თანხების დახარჯვას და სხვა.

სარევიზიო კომისიების მოწყობა გააადვილებს მუშაობას საქართველოს ფინსახკომის საფინანსო კონტროლს.

ამჟამად მზადდება სათანადო პროექტი და სახელმძღვანელო მასალები, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელონ სარევიზიო კომისიებმა ადგილებზე.

კამპანია სარევიზიო კომისიების მოსაწყობად დაიწყება ამ დღეებში.

თბ. აღმასკომში

◆ **საბალოსნო სკოლა.** პლეხანოვის პრ. ჩოდრიშვილის სახელობის კლუბთან არსებული ბაღის ნაწილი გადაეცა ნინოშვილის სახელობის საბალოსნო სკოლას, ნაწილი კი აღნიშნულ კლუბს.

◆ **წიგნი ზაჰესზე.** თბ. აღმასკომმა და სახ. მეურ. უმ. საბჭომ გადასწყვიტა გამოსცენ წიგნი ზაჰესზე.

◆ **რაჭის აღმასკომს გადაეცემა** 16000 მან. ღირებული ელექტრო-სადგურის მოწყობილობანი.

◆ **ტრამვაი შუა ბაზარში.** კომუნალურ განყოფილებას დაევალა დაუყონებლივ შეუდგეს შუა ბაზარში ტრამვაის ხაზის გაყვანას.

◆ **უძრავ ქონებათა** სამმართველოს გამგეთ დაინიშნა ერ. კალანდაძე.

◆ **მ.-გ. მილიციის უფროსის** მოადგილე მკურნალი განთავისუფლებული იქნა თავის მოვალეობიდან. მის ადგილზე დაინიშნა ამხ. ბარამიძე.

◆ **რევოლიუციის მუზეუმის** საჭიროებისათვის აღმასკომმა გადასდო 500 მან.

◆ **გამოსახლება.** თბ. აღმასკომის პრეზიდიუმმა გადასწყვიტა რევოლიუციის მუზეუმის შენობა განთავისუფლოს კერძო მდგმურებისაგან.

განათლების კომისარიატში

◆ **სკოლები.** განათლების კომისარიატის პოლიტგანათლების მთავარი სამმართველო ახალქალაქის მაზრაში ხსნის წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო 10 სკოლას.

◆ **მცირეწლოვანთა კომისიები.** კომისარიატის ცნობით ყველა სამაზრო აღმასკომებთან არსდება მცირეწლოვანთა საქმეების გამრჩევი კომისიები.

◆ **საბავშვო ბაღები.** ზუგდიდის აღმასკომმა დამატებით ბიუჯეტში შეიტანა საბავშვო ბაღების შესანახი ხარჯები.

◆ **სკოლის აგება.** ორულე-ერგეთის თემში (ზუგდიდის მაზრა) შენდება სკოლა.

შრომის კომისარიატში

◆ **შრომის სახალხო კომისარი ამხ. ა. მიქაძე** გაემგზავრა აფხაზეთსა და აჭარისტანში შრომის ორგანოების მუშაობის გასაცნობად.

◆ **ლაბორატორია.** შრომის კომისარიატის შენობაში ეწყობა შრომის ჰიგიენის ლაბორატორია.

◆ **შრომის მუზეუმთან** ეწყობა საწარმოო განყოფილება.

◆ **პროფესიულებათა** პოლიკლინიკა გაიხსნება უახლოეს ხანში.

◆ **კოლექტიურ ხელშეკრულებათა** დადებას შრომის კომისარიატი შეუდგება მიმდინარე თვის ბოლო რიცხვებში.

◆ **შრომის დაცვის განყოფილება** ხვალიდან შეუდგება ყარაიაზის საცდელ მინდორზე და არხებზე მომუშავეთა შრომის პირობების გამოკვლევას.

◆ **გამოკვლევა.** შრომის კომისარიატი ამჟამად აწარმოებს ბორჯომის ქარხნის ტეხნიკურ გამოკვლევას.

შემთხვევები

◆ **დაჭრა.** ავაქ ავაქოვი მისმა მდგმურმა ვასილ მელიქოვმა ბინიდან გამოსახლების თაობაზე დანით მძიმეთ დასჭრა. მელიქოვი შეიპყრეს.

◆ **ქურდი შვილი.** სიმონ დუბინეცკის ბინა გაქურდა მისმა შვილმა შალვამ.

◆ **შეპყრობა.** ქურდობისათვის დააპატიმრეს გარსევან ტერპოღოსოვი.

◆ **გვამის პოვნა.** კალოუბნის და ბაზრის ქუჩების კუთხეში 3 ნოემბერს დილით იპოვეს ბაღდასარ პოღოსოვის გვამი.

◆ **ფანჯრის გამოტეხვის** საშუალებით 12 სამილიციო უბანში გაქურდეს მილიციელის ზალატუხინის ბინა.

◆ **ქურდობა.** 3 ნოემბ. სასახლის ქ. № 5 გაქურდეს ოსკანაშვილის საპარიკმახერო.

◆ ამავე დღეს ტროცკის ქ. № 7 გაქურდეს ელენე გურამიშვილის ბინა.

◆ ამავე დღეს სურფ-კარაპეტის აღმ. № 6 გაქურდეს ხაზა პაპიანცის ბინა.

◆ ამავე დღეს კამოს ქ. № 66 ვლადისლავროსტოვსკის ბინიდან მოიპარეს 100 მ. ნივთები

ხელოვნება

◆ **მუშათა თეატრთან** წელს იმუშავებს სამი სექტორი: ქართული, რუსული და სომხური. რუსული სექტორი უკვე ჰმართავს წარმოდგენებს. ქართული და სომხური სექტორები წარმოდგენების მართვას დაიწყებენ ახლო ხანში.

◆ **მოძრავი კინო.** ბორჩალოს აღმასკომი იძენს მოძრავ კინოს.

◆ **მუშათა თეატრის** რუსული სექტორის მიერ დღეს წარმოდგენილი იქნება „ბელუგინის დაქორწინება".

◆ **დახმარება.** თბ. აღმასკომმა მუშათა თეატრის ყველა სექტორების საჭიროებისათვის დამატებით გადასდო 5500 მან.

◆ **ხახკინმრეწვში** თბ. აღმასკომის წარმომადგენლად დაინიშნა ამხ. გავაშელი.

◆ **ოპერის თეატრში** დღეს წარმოდგენილი იქნება „ჰუგენოტები".

◆ **კოტე მარჯანიშვილი** ამჟამად ოპერაში დასადგმელად ამზადებს ოპერა „ბოკაჩიო"-ს.

შეცდომის გასწორება

„კომუნისტი"-ს № 252-ში მოთავსებულ წერილში, სათაურით—„კომუნისტის" მუშკორები ორთაჭალის საბავშო სახლში"—შეცდომით სწერია: „შეძენილია მიკროსკოპი, რომელიც 575.000 მანეთი დაჯდა", უნდა იყოს: **„575. მან დაჯდა".**

სასამართლო

„წმინდა მამების" საქმენი - [illegible]

გუშინ ჩვენ ვსწერდით სოფ. რეხაში „სასწაულთმოქმედ სამლოცველოს" აღმოჩენის შესახებ და გავაცანით მკითხველთ „აღმოჩენის" ისტორია და ბერ-მონაზონის გიორგი დარჩიას და თომა საბაძის როლი ამ საქმეში.

როგორც საქმიდან სჩანს, ზემოთ ჩამოთვლილი პირების გარდა ამ საქმით დაინტერესდა საბაძის ნათესავი ქალი თეკლე სპიროვა და მანაც მონდომა თავის სოფელში მოეწყო ისეთი „სასწაულთმომქმედი" სამლოცველო, როგორც სოფელ რეხაში.

შემდეგ საქმეში ჩაერიენ მღვდლები და ბლაღოჩინები ნიკოლოზ გრიგორიადისი და მისი თანაშემწე კონსტანტინე პარასკევოვი, რომლებიც შეედავენ საბაძეს და და[illegible]ს და განუცხადეს, რომ მათაც აქვთ უფლება ისარგებლონ „სამლოცველოს" შემოსავლიდან.

სპიროვას ქალი შეუდგა მუშაობას—„სამლოცველოს" გასახსნელად. ამ მიზნით დადის გლეხებში და აცხადებს, რომ მას ძილში გამოეცხადა „წმინდა მარიამი" და ანიშნა, რომ ერთ-ერთ შენობის კედლებში დამალულია „წმინდა" ხატები. სინამდვილეში კი სპიროვას ქალმა შენობის კედლებში განზრახ დამალა ეკლესიიდან გატანილი ხატები. გლეხები დაინტერესდენ ამ მოვლენით. დაშალეს შენობის კედლები და მართლაც იპოვეს ხატები. სოფლად ხმები გავრცელდა „წმინდა" ხატების აღმოჩენის შესახებ. მოსახლეობას დიდძალი შესაწირავი მიჰქონდა „წმინდა" ხატებთან. სპიროვას ქალის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

მან ადგილობრივ მცხოვრებთა დახმარებით შესძლო სამლოცველოს აშენება, რის შემდეგ დიდათ გაუმჯობესდა მისი მატერიალური მდგომარეობა.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ გაიგო სპიროვას ქალის ოინები და ბოლო მოუღო მის „სასწაულთმომქმედო" სამლოცველოს არსებობას.

რეხას სამლოცველოს შემოსავალში ჩაერია გრიგორიადისი და პარასკევოვი. გრიგორიადისის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოჩენის შემდეგ შური და მტრობა ჩამოვარდა მათსა და დარჩიას შორის. მაგრამ ამ საქმეში გრიგორიადისი ხელცარიელი დარჩა.

კონსტანტინე პარასკევოვმა სამოღვაწეო ასპარეზი გადაიტანა სოფ. გუნია-კალში და გაიჩინა საკუთარი აგენტები.

პარასკევოვის ერთ-ერთი გამოჩენილი აგენტი მუდამ იდგა ეკლესიის კარებთან და მკითხაობდა: ურჩევდა ხალხს—შესულიყო სამლოცველოში და მიეტანა შესაწირავები. დროგამოშვებით თითქო „წმინდანებს" ესაუბრებაო პარასკევოვის აგენტი დაიწყებდა რაღაც ჩურჩულს, შემდეგ დაუცემოდა ქადაგათ და დიდხანს წვალობდა. უვიცი მლოცველები ასეთ თვალთმაქცობას, რა თქმა უნდა უყურებდენ და ამგვარად იშვიათი „სასწაულთმოქმედება" ამ სამლოცველოსი ჩქარა გახმაურდა.

„წმინდა მამებს" დაებადათ აზრი ამოეღოთ საფლავიდან 8 წლის წინათ გარდაცვლილი ვინმე კესოვი და გამოეცხადებიათ იგი „წმინდანათ". მიმართეს თხოვნით გარდაცვალებულის ძმას სავა კესოვს ამოეღო საფლავიდან გვამი.

გრიგორიადისი და პარასკევოვი ცხადდებიან კესოვის საფლავზე და ახდენენ „სასწაულებს".

სავა კესოვმა რჩევა-დარიგებისათვის მიმართა ახალგაზრდა მღვდელს ივანე პარასკევოვს; ამ უკანასკნელმა ურჩია მას არ გაეთხარა საფლავი, რადგან მისი განმარტებით, არ არსებობს არავითარი წმინდანები და დასძინა, რომ ყოველივე ეს განზრახ შეთხზულია გრიგორიადისის და მისი მეგობრების მიერ.

გვამის ამოღების წინ გრიგორიადისმა და კონსტანტინე პარასკევოვმა გადიხადეს საეკლესიო პანაშვიდი. ბლაღოჩინებმა წარმოსთქვეს მხურვალე სიტყვები „წმინდანების" არსებობის შესახებ და დასძინეს, რომ გვამის ამოღების შემდეგ ქვეყანას მოევლინება კეთილი სულები და ცოდვილი ხალხი, რომლებიც კეთილ ინებებს და მსხვერპლს შესწირავენ, ყოველგვარი ცოდვებისაგან განთავისუფლდებიანო.

გრიგორიადისმა და პარასკევოვმა გაავრცელეს აგრეთვე ხმები, რომ კესოვს საფლავის მიწამ მოარჩინა ერთი მძიმე ავადმყოფებული ბავშვი და სხ.

მიუხედავად დიდი აგიტაციისა, სავა კესოვი წინააღმდეგი იყო საფლავის გათხრის, მაგრამ მასზე, რომ გავლენა მოეხდინათ, ბლაღოჩინებმა მიმართეს სხვადასხვა ოინებს. ამის შემდეგ კონსტ. პარასკევოვმა დაავალა სავა კესოვს წასულიყო და გარდაცვალებულ მისი ძმის საფლავზე დაენთო ცეცხლი; კესოვმა დარიგება პირნათლად შეასრულა. ცეცხლის დანახვაზე კონსტ. გრიგორიადისმა გაავრცელა ხალხში ხმები, რომ ცეცხლი გაჩნდა კესოვის საფლავიდან და, თუ საფლავი არ იქნა გათხრილი, ისე მთელი სოფელი ცეცხლის მსხვერპლი შეიქნებაო.

გრიგორიადისი და პარასკევოვი იმდენათ გათამამდენ, რომ აღმასკომსაც კი მიმართეს ნებართვისათვის, მაგრამ ადგილობრივმა ხელისუფლებამ სასტიკათ აუკრძალა მათ საფლავის გათხრა. მიუხედავად ამისა, ფრულათ გათხარეს სავა კესოვის ძმის საფლავი, ამოიღეს გვამი და ჩონჩხი დაასვენეს სამლოცველოში. გარდაცვალებულ ადამიანის ჩონჩხი შეკაზმეს თავიგულებით და ძვლებს წაუსვეს სანთელი. ადგილობრივ მოსახლეობას დიდძალი შემოწირულობანი მიჰქონდათ „წმინდანთან". როდესაც მლოცველი მიდიოდა სამლოცველოში გრიგორიადისი და პარასკევოვი გადაიხდიდენ პანაშვიდს და იმ წამსვე ღებულობდენ პანაშვიდის გასამრჯელოს. ამ გზით მათ საკმაო დიდი თანხა შეაგროვეს.

გრიგორიადისმა და პარასკევოვმა გაითქვეს სახელი, გაიჩინეს აგენტები და ასეთივე სასწაულთმომქმედი სამლოცველოები" მოაწყვეს მახლობელ სოფლებში.

დიდათ საინტერესოა ის ჩვენებები, რომელნიც „წმინდა მამებმა" მისცეს წინასწარ გამოძიებაზე.

თ. ქ.

ზაჰესი

ნაგებობათა მიღება

უკვე მოახლოვდა ზაჰესის ამუშავების დრო სპეციალისტთა კომისიები აწარმოებენ სხვადასხვა სახის ნაგებობათა მიღებას.

3 ნოემბერს ცალკე კომისიამ მიიღო მთავარი კაშხალი, რომლის გამოცდა წარმატებით დამთავრდა. კაშხალი აგებულია სათანადო წესების დაცვით და მისი მუშაობა იძლევა საჭირო დაცვის სრულ ას პროცენტს.

ერთ უმთავრეს სამუშაოს წარმოადგენს აგრეთვე მთავარი არხი. არხის გამოცდა უკვე დასრულდა და გუშინ სპეციალისტთა კომისია შეუდგა მის შემოწმებას. მთავარი არხის მიღება დასრულდება ამ დღეებში.

სადგურის სატურბინო განყოფილებაში ამჟამად სწარმოებს ორი ახალი ტურბო-გენერატორის დადგმა. ჯერ-ჯერობით არც ერთი ტურბო-გენერატორი არაა მზათ. ტურბინები მზად იქნებიან მხოლოთ 20 ნოემბრისათვის.

როდის ამუშავდება ზაჰესი

ტურბო-გენერატორების დადგმის დაგვიანების გამო 7 ნოემბრისათვის არ მოხდება სადგურის ამუშავება. ეს იმიტომ, რომ ზაჰესკომი ფიქრობს ჯერ საფუძვლიანათ შეამოწმოს ყველა ნაგებობანი და მხოლოთ შემდეგ აამუშაოს სადგური.

ჰიდრო-ტეხნიკურ და ელექტრო-ტეხნიკურ სამუშაოთა შესამოწმებლათ მოწვეული არიან სპეციალისტი—პროფესორები—ვორონოვი, სუშკინი, ალექსანდროვი და სხ.

სადგური ამუშავდება ნოემბრის ოც რიცხვებში, როდესაც მზად იქნებიან სამუშაოთ ტურბოგენერატორები.

თათბირი

ახალგაზრდათა შორის მუშაობის შესახებ

გუშინდელ სხდომაზე, რკინისგზელთა პროფორგანოებში შემავალ ახალგაზრდათა წარმომადგენლების თათბირმა მიიღო რეზოლიუციები ამხ. ამხ. სამინინის, ჟუნჟუკოვის და პიროშინის მოხსენებათა გარშემო.

რეზოლიუციებით გათვალისწინებულია მთელი რიგი საორგანიზაციო და კულტურული ხასიათის დავალიებანი როგორც საგზაო, ისე ადგილობრივ მუშაობის დარგებში. თათბირმა დაავალა ახალგაზრდათა წარმომადგენლებს იქონიონ მტკიცე კავშირი მოსწავლე ახალგაზრდობასთან, ჩააბან ისინი საკლუბო მუშაობაში, დააწინაურონ პროფორგანიზაციებში და ამასთანავე ერთად თვალყური ადევნონ ახალგაზრდობის შრომის პირობების სრულ დაცვას. ამას გარდა თათბირმა დაავალა ახალგაზრდათა შორის მომუშავე ამხანაგებს იქონიონ მტკიცე კავშირი საფაბრიკო-საქარხნო სკოლებთან, სისტემატიურად აწარმოონ მოსწავლეთა საქმიანი გამოკვლევა, ჩააბან მოსწავლე ახალგაზრდობა საწარმოო კომისიების და საწარმოო თათბირების მუშაობაში, მოაწყონ ადგილკომებში შემავალი ახალგაზრდობის თათბირები და ყურადღება მიაქციონ ახალგაზრდათა სექციების მუშაობასა და მოთხოვნილებებს.

ამას გარდა თათბირმა შუამდგომლობა აღძრა ა.-კ. საგზაო კომიტეტის წინაშე, რათა დამზღვევ სალაროს ხარჯზე მყოფ მოსწავლეებს გაუდიდდეთ დახმარება.

თათბირმა საჭიროდ სცნო ინდივიდუალური სწავლების ნაცვლად, საბრიგადო სწავლების დაწესება რკ. გზ. მოსწავლე ახალგაზრდობისათვის.

თათბირი დაიხურა გუშინ დღის 3 საათზე.

რკინის გზებზე

მუხრუჭის გაფუჭება

3 ნოემბერს 16 საათ. 20 წუთზე, სად. მცხეთიდან გასულ მატარებელს № 193, მე-207 კილომეტრზე გაუფუჭდა მუხრუჭის სახელური რის გამო მატარებელი სავსებით გაჩერდა. ამ შემთხვევის შესახებ, გუშინ ჩვენი თანამშრომელი ესაუბრა ამხ. კაზანცევს, რომელმაც განაცხადა შემდეგი: „სახელური თითქმის ყველა მუხრუჭებს უფუჭდებათ, მაგრამ აღნიშნული შემთხვევა ამტკიცებს იმას, რომ მემანქანეს სუსტათ ჰქონია შეთვისებული მუხრუჭების მართვის წესი. მას შეეძლო მოეხსნა უკანასკნელ ვაგონის სახელური და გაეკეთებინა ორთქლმავლის მუხრუჭისათვის და მატარებლის მოძრაობა არ შეწყდებოდა".

მატარებლის გაწყვეტა

3 ნოემბერს, ჩაქვ-ქობულეთს შორის გაწყდა საბარგო მატარებელი № 193.

დაჯახება

3 ნოემბერს, სად. ხაშურში სამანევრო ორთქლმავალი № 9127 დაეჯახა ორთქლმავალს № 9777. ლიანდაგიდან გადავარდა ერთი ვაგონი და ორთქლმავალი. ჩავარდნილი ორთქლმავალი ამოიღეს 2 საათის შემდეგ.

უმუშევართა არტელი

ა.-კ. რკ.-გზ. საგზაო კომიტეტი ამუშავებს საკითხს უმუშევარ რკინისგზელთა ნადის რეორგანიზაციის შესახებ.

ნადი მოეწყობა შრომის ბირჟასთან კოლექტივის სახით.

ფეხბურთი

ნაკრები I—ნაკრები II

გუშინ ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა თბილისის პირველი და მეორე ნაკრები გუნდების ამხანაგური შეჯიბრი.

პირველი ნაკრები გუნდი ამ შეჯიბრში მთლიანად არ გამოსულა იმ შემადგენლობით, რომელმაც უნდა ითამაშოს ბათომის წინააღმდეგ. გუნდში თამაშობდენ: **პაპკოვი, ფოჩხუა, ბლანკმანი, ფრუიძე, ხანდამოვი, მდივანი, ქოიავა, ასლამაზოვი, სოლტანი, ჟორდანია და ქებაძე.** გუნდს აკლდა **ანიკინი და გალპერინი.**

მეორე ნაკრებში შედიოდენ: **დ. ცომაია, ბუსკო, ხევსურიანი, ფეოდოროვი, იმნაძე, ჟიტნიუკი პარამონოვი, გუნია, ვაჩნაძე, ხიმონოვი და ვლ. ცომაია.**

თამაშის დაწყების თანავე აშკარა შეიქნა პირველი ნაკრების უპირატესობა. ამ უკანასკნელებს ფორვარდებმა სწრაფი ტემპით დაიწყეს თამაში და მრავალი საინტერესო მომენტები შექმნეს მოპირდაპირის კარებთან.

პირველი ტაიმის პირველ ნახევარში ბურთი უმეტესად მეორე ნაკრების პიშკართან ტრიალებდა, მიუხედავად ამისა პირველი ნაკრების მოთამაშეებმა მაინც ვერ შესძლეს მოწინააღმდეგის კარების გარღვევა.

შემდეგში მეორე ნაკრებმაც სცადა შეტევაზე გადასვლა. იყო შემთხვევები, როდესაც პირველი ნაკრების კარები სერიოზულ საფრთხეში იყო, მაგრამ მეორე ნაკრების ზოგიერთ ფორვარდების სიზანტემ და გაუბედაობამ საშუალება მისცა პირველ გუნდს თავი დაეხწია განსაცდელისათვის.

ტაიმის ბოლოს პირველმა ნაკრებმა შესძლო ერთი ბურთის გატარება მეორე გუნდის კარებში და თამაშის პირველი განყოფილება დამთავრდა 1:0 პირველი ნაკრები გუნდის სასარგებლოდ.

მეორე ტაიმში თამაში უფრო გაცხოველდა. ორივე გუნდი თავგამოდებით იბრძოდა, რასაც შედეგათ მოყვა ის, რომ ტაიმის ბოლომდე პირველმა ნაკრებმა მოწინააღმდეგის კარებში გაატარა სამი ბურთი, მეორე ნაკრებმა კი—ორი.

შეჯიბრი დამთავრდა 4:2 პირველი ნაკრები გუნდის სასარგებლოდ.

გულდამწვარნი ცოლი ელენე, შვილები გოგია და შოთა, მშობლები გიორგი და ნინო, და-ძმა ვანო და ელენე, სიმამრი გრიგოლი, სიდედრი ნადეჟდა, ცოლის—ძმები ბიქტორი, დიმიტრი და დათიკო, ცოლის და საშა წერეთლები, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 3 ნოემბერს ტრაღიკულად გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი ტეხნიკოსი

შალვა გიორგის ძე ნოზაძე

გამოსვენება მოხდება ა. წ. 6 ნოემბერს მიხაილოვის საავადმყოფოდან დღის სრულ 3 საათ. და დაკრძალვა წმინდა ნინოს (კუკიის) სასაფლაოზე

2—1 ქვ. 447

ღრმა მწუხარებაში მყოფნი „ზაჰეს"-ელი ამხანაგები და მეგობრები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 3 ნოემბერს ტრაღიკულად გარდაიცვალა ტეხნიკოსი

შალიკო ნოზაძე

გამოსვენება მოხდება მიხეილის საავადმყოფოდან 6 ნოემბერს დღის 3 საათზე, დაკრძალვა წმინდა ნინოს (კუკიის) სასაფლაოზე. 2—1 ქ. 449

გულ დათუთქულნი და თავზარდაცემულნი მეუღლე ლავრენტი ბეკოს-ძე ესაკია, შვილები—ნინო, ანეტა, იულია, მარუსია, აკაკი და გოგოლა ესაკიები შვილიშვილები ლილი და კუკური, რძალი ბარბალე, შვილები—ალიოშა და ფუხუ თოფურიები, დისშვილები—ნოჩო და კირილე მოკალათეები, სიძეები—სიორიძე ივანე, ტორონჯაძე გიორგი, ჭყონია სერგო აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, მათთვის საყვარელ და მუდამ დაუვიწყარი

ნატალია თოფურია-ესაკიას

გარდაცვალებას, დაკრძალვა მოხდება დაბა აბაშაში სოფელ კვათანაში ა წ. 7 ნოემბერს. 445

---

3 ნოემბერს, 1926 წელს, ღამის 12 საათზე ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ უდროოთ გარდაიცვალა

ვასილ (ვასო) ნიკოლოზის-ძე ფრუიძე

რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს გაუბედურებულნი: დედა ალათი, ცოლი ნინო, შვილი თინიკო, ძმები მაკარი, ვიქტორი, კოლია და ალისა, რძლები მინადორა, ნინა და ელიპიდი ფრუიძენი. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6 საათზე, გამოსვენება შაბათს, 6 ნოემბერს, ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე. საკუთარ ბინიდან გრიბოედოვის ქუჩა № 33 დაკრძალვა ახალ ვერის სასაფლაოზე. 448

სახელმწ. დრამა
შაბათს, 6 ნოემბერს, აწ. გოგიშვილის
ზაგმუკ
ისტ. დრ. 4 მოქ. თარ. ალ. შანშიაშვილის
დადგმა ალ. ახმეტელის.
4—3 ნ. 167
სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი ალ. ახმეტელი.

სახელმწიფო ოპერა
დღეს, 5 ნოემბერს, აბონემენტის გარეშე
პრემიერა „ჰუგენოტები"
მონაწილეობს: ბოგოლეპოვა, ბოკოვა, კალანდაძე, ვიტინგი, ვენაძე, მეხნიაევი და შარაშიძე.
შაბათს 6 ნოემბერს,
აბესალომ და ეთერი
ნ. 173

აპოლო
არფასტო
სოლეი
საუკეთესო ამერიკული სურათი
„პეტრძ ლთა ზომალდი"
მხატვრული დრ. 7 ნაწ., მთავარ როლში ბეტი კომპსონი
მერი პიკფორდი მშვენიერ სურათში
მთების გული (ქალიშვილი კენტუკიდან)
პროგრამის გარეშე მიწისძვრა სომხეთში
რობინ ჰუდი დუგლას ფერბენქ ის მონაწ.
პროგრამის გარეშე მიწის ძვრა სომხეთში
ანონსი: ამ დღეებში გაიხსნება კინო „დარბაზი"
ნ. 157 0—4
8 ნოემბრიდან სახკინმრეწვის ყველა კინოებში გაფლანგვა

გამოვიდა და იყიდება
„წიგნი ტრისტანისა და იზოლდასი"
თარგმანი ფრანგულით
გერონტი ქიქოძისა
ფასი 1 მან. 50 კაპ.

მოწაფეთა საყურადღებოდ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი"
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის"-ს მთავარი კანტორა, რუსთველის პროსპექტი № 34
0—1

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორანოვის ქ., № 20 54825 —1

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19. იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან 25—1

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი
ს. გოჩორიშვილი

აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში, ა. წერეთლის ქუჩაზე დანიშნულია 10 ნოემბერს 1926 წ. დილის 10 საათზე მეორე **საჯარო ვაჭრობა** ივანე დარისპანისძე გოცირიძის ერთი-ერთ ნახევარ სართულიანი ქვის და აგურის შენობის, შემდგარის შვიდი თვალი საწყობის და სარაიებისაგან, ოთხ თვალი საცხოვრებელი განყოფილებებისაგან შუშაბანდით და ორი თვალი სამზარეულოსაგან, შეფასებული სამი ათასი მან. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან, ან იმ თანხიდან, რომელიც დასახელებული იქნება მოვაჭრეთაგან კომუნალური ბანკის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლათ და ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს საწინდარი შენობის შეფასების 10 პროც. და ცნობები აღნიშნული 311 მუხ. სამ. საპ. კოდ. ნ. 174

ექიმი
ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—2

ექიმი ზ. ა. ტარუმოვი
დაბრუნდა და განაახლა შინაგან და ბავშვთა სნეულების ავადმყოფთა მიღება სალ. 5—7 საათამდე. ტრიბუნალის ქ. (ყოფ. სასამართლოს) 12 ტელ 22—59,

ექიმი ი. ი. გერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—2

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგან, ბავშთა და ქალთა ავადმყოფობანი
იღებულობს 5—7 საათზე. სომხის ბაზარი № 3, თავისუფლების მოედნიდან მეორე სახლი 25—1

ექიმი შუხმანი
სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები.
მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. ქ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ. № 89 25—1

დაკარგა დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 4964, იოსებ ცხვედაძეს სახელზე, ჩ. გ. 440

დაკარგა კომუნისტურ პარტიის საწევრო მთლიანი მანდატი № 502859 თადო აბრამის-ძე მესტიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 439

დაკარგა განქორწინების ბარათი, მიხეილ ვარდოევის სახელზე, ჩ. გ. 437

დაკარგა ალშენებელთა პროფკავშირის საწევრო წიგნაკი, ვარლამ გუკოვის სახელზე, ჩ. გ. ნ. 174

დაკარგა კოოპერაციის საწევრო წიგნაკი № 6823, არჩილ გოდუაძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 174

დაკარგა მოწმობა წნორის ქრქაურის შესახებ, შემოწმებული კაკაბეთის თემ-აღმასკომის მიერ გიორგი თამაზაშვილის სახელზე, ჩ. გ. 438

დაკარგა მეტრიკული ამონაწერი № 1818, ალექსანდრე გიორგის-ძე გიორგობიანის სახელზე, ჩ. გ. 450

დაკარგა ატესტატი № 1314, მოცემული მეორე შრომის სკოლის მიერ ვახტანგ ვლადიმერის-ძე ჩხენკელის სახელზე, ჩ. გ. 444

დაკარგა უვადო პასპორტი № 8112—ვლადიმერ თომას-ძე ინაშვილის სახელზე, ჩ. გ. 442

დაკარგა მეტრიკული (სალექციო წიგნაკი) მოცემული თბილისის სახელმწიფო უნივ. აგრონომიული ფაკულტეტიდან № 494 და სააღრიცხვო ბარათი გედევან ვასილის-ძე ტყეშელაშვილის სახელზე, ჩ. გ. 443

დაკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტის მატრიკული № 434 გაცემული სარდიონ იერემის-ძე მეტრეველის სახელზე, ჩ. გ. 446

დაკარგა პირადობის მოწმობა და ალშენებელთა პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 36725, ვასილ მიხეევის სახელზე, ჩ. გ. ნ. 174

სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. 6.